პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. სრ. და მსტრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, [illegible] № 4, მე-3 სართული.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, მე-2 სართული ტელეფ. 5—50
[illegible]
ტელეფ. რედაქტორი 14—76, მდივანი 10—50
[illegible] 350.000 მ. [illegible] 1200 მ. 1922 წ. [illegible] განცხადება—50 ათ. მ. [illegible] 1 მიტ. მ.

№ 77 პარასკევი, 6 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20.000 მან. № 77

დღიური

რურის საოკუპაციო ზონა ფართოვდება [illegible] ლი ხალხურების დაკავებით.

გერმანიის მთავრობა ესსენის ამბების [illegible] ლობას საფრანგეთის მთავრობას აკისრებს.

რომში დააპატიმრეს იტალიის კომუნისტურ პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ამხ. გრიკო.

გერმანიის კომპარტიის ტიურინგის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს მუშებს შექმნან პროლეტარიატის თავდაცვის კომიტეტი.

საბერძნეთის მთავრობა ომისათვის ემზადება.

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზეტრესტი)
(რუსთაველის პრ. № 21, მე-2-ე სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე—ადგილებზე გადაგზავნით.
ხელის მოწერა მიიღება:
აპრილისა და მაისისათვის.
5—4

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 6 აპრილს

ერთიან პარტიულ დღეს

დასმული იქნეს დღის წესრიგში საკითხი

მენშევიზმის გახრწნის შესახებ

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუხაძე.

შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში შესდგება

საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგშია მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ და საბინაო საკითხი.

პრეზიდიუმი.

(ვრ. 301—2—1)

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას კ. პ. წევრის ამხ.

მარია სარიჩევას

უდროვოთ გარდაცვალების შესახებ აპრილის 3 დღის, 12 საათზე. ცხედრის გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან (ანდრეევის ქუჩა, ტრამვაის პარკის პირდაპირ) მოხდება აპრილის 6, პარასკევს დღის 2 საათზე კუკიის სასაფლაოსაკენ.

საერთო სამოქალაქო გადასახადი

(თეზისები აგიტატორებისათვის)

1. სახალხო მეურნეობის აღდგენის მიზნით საბჭოთა ხელისუფლება ამ ჟამათ ყოველ ღონეს ხმარობს და გაბედულ ნაბიჯებს დგამს საბჭოთა ფინანსების მოწესრიგებისაკენ. ჯერ კიდევ დაუმთავრებელ საფინანსო დაშლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს თვალსაჩინო ჭარბობა სახელმწიფო გასავლისა შემოსავალთან შედარებით. მძიმე მრეწველობის აღორძინება მეტათ ნელი ტემპით სწარმოებს; მსუბუქი მრეწველობა კი სულ მოკლე ხნის წინ გახდა სახელმწიფოსათვის შემოსავლიანი; ტრანსპორტი უახლოეს მომავალ პერიოდში მხოლოთ ნაწილობრივათ შესძლებს, თავის ხარჯების დაფარვას; სახელმწიფო ვაჭრობა, როგორც საგარეო, ისე შინაურიც, მხოლოთ იწყებს განვითარებას. არ შეგვიძლია ვიმედოვნოთ, რომ სახელმწიფო შემოსავალი უახლოეს მომავალში დიდ როლს ითამაშებს სახელმწიფო ხარჯების დაფარვის საქმეში.

2. სახელმწიფო აპარატის, წითელ არმიის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და ომის ინვალიდების უზრუნველყოფის, მიმოსვლის საშვალებების და სხვათა გაუმჯობესების სახელმწიფოს პირველხარისხოვან ხარჯების დაფარვის აუცილებლობა აიძულებს საბჭოთა ხელისუფლებას მიმართოს ქაღალდის ფულის გამოშვებას და გადასახადთა დაწესებას, ქაღალდის ფულის გაძლიერებულ გამოშვებას უდიდესი ვნება მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის, ვინაიდან ის იწვევს მანეთის ღირებულების დაცემას. მანეთის მერყევი მდგომარეობა შლის სახელმწიფო მრეწველობას, აბრკოლებს საქონლის ტრიალს, ამცირებს მუშების რეალურ ხელფასს, აძნელებს გლეხობისათვის სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გასაღებას და არღვევს კავშირს ქალაქისა და სოფლის შუა. ამგვარათ, ქაღალდის ფულის გამოშვება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავათ მძიმე ტვირთათ დააწვება როგორც სახელმწიფოს ისე ხალხის ყველა წრეებს.

3. ქაღალდის ფულის გამოშვების შესამცირებლათ, მტკიცე მანეთის შესაქმნელათ და საერთოთ სახალხო მეურნეობის გასაჯანსაღებლათ საჭიროა განხორციელდეს ისეთი ფინანსიური პოლიტიკა, რომ სახელმწიფო ხარჯები დაფარულ იქნეს დაწესებულ და შეკრეფილ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებით. გადასახადები, მათი გადიდების თანაბრათ, თანდათან განდევნიან ქაღალდის ემისიას (ქაღალდის ფულის გამოშვებას) და საშუალებას მოგვცემს მთელი მეურნეობის გასაჯანსაღებლათ შემოვიღოთ მტკიცე ქაღალდის ფულის სისტემა (მტკიცე მანეთი).

4. ამ გვარათ, სწორ საგადასახადო სისტემის აგება და გადასახადთა შემოტანის მაქსიმალური გაძლიერება მიჩნეული უნდა იქნეს საბჭოთა ხელისუფლების დამკვრელ ამოცანათ, ვინაიდან სახელმწიფო სახსრის გაძლიერების ეს საშუალება უფრო ხელსაყრელია მოსახლეობის ფართე მასსებისათვის, ვიდრე ქაღალდის ფულის ემისია, რომელიც განუწყვეტლივ ამცირებს ჩვენი ქაღალდის მანეთის კურსს.

5. აწესებს რა გადასახადებს, მუშურ-გლეხური ხელისუფლება ამით არა თუ იღებს ხალხისაგან სახელმწიფო ხარჯების დასაფარავ საშუალებას და აჯანსაღებს ფულის მეურნეობას, არამედ ინარჩუნებს აგრეთვე თავის განკარგულებაში რევოლიუციონურ პოლიტიკის ძლიერ იარაღს. ახალ ეკონომიურ ურთიერთობათა პირობებში აღმოცენდა ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფები, რომლებიც ატრიალებენ მსხვილ კაპიტალს და იღებენ დიდ შემოსავლებს. დაგროვების ეს პროცესი უნდა აწესრიგოს საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც მართებს ამ შემოსავლებისა და კაპიტალების უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს საჭიროებებს მოახმაროს.

6. ფულის გადასახადებმა სულ მოკლე ხნის წინეთ დაიწყეს არსებითი როლის თამაში ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის გადასახადი უკანასკნელ დრომდე ინახავდა ნატურალურ ფორმას. ვაჭრობა-მრეწველობის გადასახადები, საგადასახადო აპარატის დაშლილობისა და ამ საქმეში სუსტი გამოცდილების გამო, ვერ იძლეოდენ დამაკმაყოფილებელ შედეგებს. აუცილებლათ საჭიროა მისწრაფება საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებისაკენ და ახლო-მომავალში ყოველგვარ საშვალებით ფულის გადასახადების როლის გადიდებისათვის.

7. ვიდრე მთლიანი საგადასახადო სისტემა დაწესდებოდეს და აპარატი იმ ზომამდე გაუმჯობესდებოდეს, რომ დაიწიოს მრეწველობის, ვაჭრობისა და სასოფლო მეურნეობის ყველა შემოსავლებს, საჭიროა არსებულ გადასახადებიდან დატოვებულ იქნას ზოგიერთი, განსაკუთრებით რაციონალური გადასახადები, ზოგიერთი კი—გაუქმდეს და ნატურალური გადასახადები ფულის გადასახადებათ შეიცვალოს. ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის საგადასახადო სისტემები უნდა გაერთიანდეს და, შემდეგ, გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობაზე ერთიან გადასახადის დაწესებისა და შემოსავალ-ქონებიდან ქალაქებში საგადასახადო შემოტანის გაძლიერების მიმართულებით.

8. ასეთ გარდამავალ პერიოდში აღმოცენდა აუცილებელი საჭიროება ისეთ ერთდროულ გადასახადის დაწესებისა, რომელიც საშვალებას მისცემდა სახელმწიფოს მიიღოს უმცირეს ვადაში ფულის სახსარი პირველ ხარისხოვან საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, მანეთის კურსის დაცემის შესაჩერებლათ და ჩამორჩენილ სოფლების საერთო ფულის ტრიალში ჩასაბმელათ. ასეთ გადასახადს ჩვენში „ამიერ-კავკასიაში" წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის დადგენილებით შემოღებული საერთო სამოქალაქო გადასახადი.

9. საერთო სამოქალაქო გადასახადი დაფუძნებულია მისი გადამხდელ მოსახლეობის ფართე მასსების მოქცევაზე. ის მეტათ მარტივი ფორმის არის და სწრაფ რეალიზაციის კანონს ექვემდებარება. მთელის თავის სიმძიმით ის აწვება მოსახლეობის მქონე წრეებს და სულ უმნიშვნელოთ ეხება მუშების იმ ნაწილს, რომლებიც იღებენ მსხვილ ჯამაგირებს და გლეხობის მასსების ინტერესებს. მაგალითად, მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც იღებენ სატარიფო ქსელით მე-9 ხარისხზე მეტ ჯამაგირს იხდიან მხოლოთ 100 ათას მანეთს, გლეხები ორასი ათას მანეთს და ვაჭარ მრეწველები კი ათეულ მილიონებ მდე.

10. გარდა იმისა, რომ საერთო სამოქალაქო გადასახადი მუშებისა და გლეხებისათვის დაწესებულია სულ მცირე ზომით, მის გადახდისაგან თავისუფლდებიან ყველა მუშები, რომლებიც სატარიფო ქსელით მე 9 ხარისხზე ნაკლებ ჯამაგირს იღებენ; თავისუფლდებიან აგრეთვე უმუშევარნი, ინვალიდები, სამუშაო საქონელს მოკლებული, მაგრამ მიწათ-მოქმედებაში ჩართული გლეხები და მოსახლეობის სხვა არა უზრუნველყოფილი კატეგორიები. საგადასახადო განაკვეთების სხვა და სხვაობაში და გადასახადისაგან ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიების განთავისუფლებაში ნათლათ სჩანს ამ გადასახადის კლასობრივი ხასიათი.

11. მუშა გლეხობის ფართე მასსები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი ამ გადასახადის სწრაფად და წარმატებით ჩატარებაში, ვინაიდან მისი შემოსავალი დახარჯული იქნება სახელმწიფოს პირველ ხარისხოვან საჭიროებებზე სახალხო მეურნეობის აღორძინების მიზნით, და შეკრეფილ გადასახადის 30 პროცენტი სპეციალურათ სახალხო განათლების საქმეზე წავა, რომლისკენაც, რასაკვირველია, უნდა მიქცეული იქნეს საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელთა ფართე მასსების განსაკუთრებული ყურადღება. მუშებსა და გლეხებს, და აგრეთვე, ყველა მოქალაქეებს მართებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება საგადასახადო აპარატს საერთო სამოქალაქო გადასახადის შეკრეფის საქმეში, საერთო შეთანხმებულ ღონისძიებით საშვალება მოგვეცემა სწორათ აღვრიცხოთ გადამხდელთა რაოდენობა, ავიცდინოთ შეცდომები დაბეგვრის დროს, გავანთავისუფლოთ გადასახადისაგან მშრომელთა ის კატეგორიები, რომლებიც დეკრეტის თანახმათ თავისუფლდებიან მისგან, და შევკრიფოთ გადასახადი რამდენათაც შეიძლება მოკლე ვადაში.

12. საერთო სამოქალაქო გადასახადი აბავს სოფლის ჩამორჩენილ რაიონებს, სადაც ბატონობენ მეურნეობის ნატურალური ფორმები, მთელი ქვეყნის ფულის ტრიალში უმსუბუქებს ამით გლეხს ქალაქის მრეწველობასთან კავშირის გაბმას და განმტკიცებას და სპობს ქალაქის ცენტრებიდან ამ რაიონების მოწყვეტილებას, რომელიც საზიანოთ მოქმედობს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის სარაიონო კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფილება

ერთდროული გადასახადი

ჩვენ უკვე გვქონდა განმარტებული მნიშვნელობა ერთდროული საერთო სამოქალაქო გადასახადისა, რომელიც შემოღებული იქნა მიმდინარე 1923 წლისათვის ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობის დეკრეტით.

საკითხი იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ შევეხოთ მას.

სახელმწიფოს უხდება უამრავი ხარჯების გაღება თავის მრავალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შენახვა სახელმწიფო აპარატის, ჯარის, განათლების საქმის სათანადო დონეზე დაყენება, მრავალ მხრივი აღმშენებლობითი მუშაობა, მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარება დიდძალ ფინანსიურ საშუალებებს მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

საიდან უნდა გამოძებნოს ჩვენმა მთავრობამ ეს საშუალებები?

რა თქმა უნდა, იდეალურია ისეთი მდგომარეობა, როცა სახელმწიფოს შემოსავალი ფარავს გასავალს. მაგრამ ასეთი წონასწორობის დამყარება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ გასავალ შორის მომავლის საქმეა.

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა დაანგრიეს სახალხო მეურნეობა. იგი ჯერ ჯერობით ვერ მოგვცემს საგრძნობ შემოსავალს. კიდევ მეტი: მის ზოგიერთი დარგის აღდგენა თვით მოითხოვს წინასწარ საკმაოთ დიდ ხარჯებს, სანამ ისინი გახდებიან შემოსავლის წყაროდ.

ამ მიმართულებით მუშაობა გაჩაღებულია ჩვენი მეურნეობა საერთოდ აღორძინების მკვიდრ ლიანდაგზეა შედგარი. მრავალი წარმოება უკვე არამც თუ ფარავს თავის ხარჯებს, არამედ მოგებასაც იძლევა. მაგრამ მაინც საგრძნობია დეფიციტიან წარმოებათა რიცხვიც.

ამასთან საბჭოთა მთავრობა დიდ და ახალ ამოცანებს ისახავს ქვეყნის ყოველმხრივ ასაყვავებლად, ხალხის კეთილდღეობის ასაწევად, მისი კულტურული დონის ასამაღლებლად.

ამ ამოცანების ფართე მასშტაბით განხორციელება ისევ დამოკიდებულია საჭირო სახსრის გამონახვაზე.

საბჭოთა ხელისუფლება, სახელმწიფოს მიმდინარე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და აღმშენებლო მუშაობის საწარმოებლად, იძულებულია ნაწილობრივ მიმართოს ემისიას, ქაღალდის ფულის გამოშვებას. მაგრამ ეს არ არის ნორმალური მოვლენა. ემისია აცემს მანეთის კურსს, იწვევს მის მუდმივ მერყეობას, რაც საბოლოო ანგარიშით შლის მრეწველობას, აფერხებს საქონლის ტრიალს, აუარესებს მუშების მდგომარეობას.

შემცირება ემისიის და ფინანსიურ საშუალებათა ძიებაში სიმძიმის ცენტრის გადატანა გადასახადებზე—ასეთია დღის ამოცანა.

მაგრამ ჩვეულებრივი გადასახადების საქმის რიგიანად მოგვარებაში დიდი დაბრკოლებები გვეღობება წინ. ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით საგადასახადო აპარატის შესაფერად მოწყობა; დღევანდელი ეკონომიკის და ბაზრის მდგომარეობა, ფულის კურსის ცვალებადობა, კერძო კაპიტალის საგადასახადო უნარის სწორი აღნუსხვის სიძნელე და ბევრი სხვა რამ დიდად გვიშლის ხელს ამ საქმეში

მაინც საგადასახადო აპარატი თანდათან უმჯობესდება, გადასახადების საქმე ნორმალურ კალაპოტში დგება.

ამის დადებითი შედეგებიც სჩანს; გადასახადებით იფარება სახელმწიფოს ხარჯების საგრძნობი ნაწილი.

ამ ჩვეულებრივ გადასახადებთან ერთად სახელმწიფოს ფინანსიურ გაძლიერებას დიდად შეუწყობს ხელს ის ერთდროული გადასახადი, რომლის შესახებ ზევით მქონდა ლაპარაკი

მისი საშუალებით სახელმწიფო დააკმაყოფილებს თავის ზოგიერთ მწვავე მოთხოვნილებებს. მათ შორის უმთავრესია სახალხო განათლება.

ხალხის განათლების საკითხები დღეს პირველ რიგში დგას, საბჭოთა ხელისუფლება მას უაღრეს ყურადღებას აქცევს, მაგრამ მეტად მძიმეა მატერიალური პირობები ამ საქმის მოგვარებისათვის. ერთდროული გადასახადი საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ მაინც გადავწყვიტოთ ამ დარგში წამოჭრილი მორიგი ამოცანები.

ერთდროულ გადასახადს აქვს არა მარტო ის მნიშვნელობა, რომ ის მოგვცემს ფულების ნაწილს მიმდინარე მოთხოვნილებათა გასასტუმრებლად, ის ამავე დროს რამოდენიმედ მაინც ამოქაჩავს ფულს ბაზრიდან და ამით განამტკიცებს მანეთის კურსს.

ამასთან ამ გადასახადით საბჭოთა ხელისუფლება ერთგვარ საზღვარს უდებს კერძო ვაჭრების და მრეწველების მოგებას და იყენებს მის ნაწილს მშრომელთა სასარგებლოდ, ვინაიდან გადასახადის უმთავრესი სიმძიმე სწორედ შეძლებულ წრეებს აწვებათ მხრებზე.

ამ გადასახადის გაღება ეკისრება აგრეთვე გლეხობას. ამით სოფელი, რომელიც უფრო ნატურგადასახადსაა შეჩვეული, ებმება ფულის საერთო ტრიალში, ფულის გაცემითაც იღებს მონაწილეობას საბჭოთა საერთო აღმშენებლობაში.

მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საგულისხმო გამოცხადებული ერთდროული სამოქალაქო გადასახადი.

ჩვენი მთელი ძალღონით უნდა შევეცადოთ მისი სავსებით და დროულად გატარებას ცხოვრებაში.

სასურსათო გადასახადის შესახებ

ორი წლის სასურსათო კამპანია საქართველოში მდიდარ მასალას გვაძლევს იმის გამოსარკვევად, ვარგოდა თუ არა მუშაობის ის მეთოდი, რომლითაც ვხელმძღვანელობდით 1922 წელს

ფაქტები იმას ამბობენ, რომ 1922 წელს ნახმარ მეთოდს უკეთესი შედეგები მოჰყვა, ვიდრე 1921 წლის სასურსათო გადასახადის შეგროვების წესს. და მე დამნაშავე არა ვარ იმაში, რომ აზერბეიჯანში 1922 წლის სასურსათო გადასახადის შეგროვების დროსაც იმ წესით ხელმძღვანელობდნენ, რომელსაც ჯერ კიდევ 1921 წელს არავითარი შედეგები არ მოჰყვა საქართველოში.

მოქ. დენისოვი „ზარია ვოსტოკა-ში" № 238 ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოში სასურსათო გადასახადი კი არ იყო, არამედ სასურსათო ბეგარა. ამასთანავე იგი გაკვირვებით კითხულობს: „ირონია ხომ არ არის, რომ ავტორი აქებს სასურსათო გადასახადის შეგროვების მეთოდს საქართველოში და აღნიშნავს მის სისრულეს და უპირატესობას".

ჩემი აზრით სრულიად ზედმეტია ამ სისრულეზე ლაპარაკი, ვინაიდან ამის შესახებ სიტყვაც არ დამიძრავს ჩემს წერილში („ზ. ვოსტოკა" № 241), რადგან ვიცი, რომ ამ ქვეყნად სრული და უნაკლულო არაფერია. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ მეთოდის უპირატესობებზე, რომელიც ჩვენ შარშან განვახორციელეთ. ამიერ-კავკასიის სასურსათო თათბირზე როგორც საქართველოსი, ისე სომხეთის წარმომადგენლებმა შეუძლებლად სცნეს იმ წესის განხორციელება, რომელიც აზერბეიჯანის სასურსათო მუშაკებმა წარმოადგინეს. შემუშავებულ იქნა მხოლოდ პრინციპი გადასახადის შეწერის ობიექტისა მოსავლიანობისა, სათეს მიწების სივრცისა და სხვა და სხვა კულტურის მიხედვით და სხვა. ამაზე სამივე რესპუბლიკა დათანხმდა. მაგრამ თვითეული ჩვენთაგანი დარწმუნებული იყო, რომ ცალკე რესპუბლიკათა წარმომადგენლებს უფლება ექმნებოდათ მინიჭებული ამ საერთო პრინციპის იმ მეთოდით განხორციელებისა, რომელიც უფრო შეეფერება ამა თუ იმ რესპუბლიკის სინამდვილეს. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ აზერბეიჯანში მიღებული მეთოდი სასურსათო გადასახადის შეგროვებისა სასურსათო თათბირმა სასურველად აღიარა როგორც საქართველოსთვის, ისე სომხეთისთვის. საჭიროა იმის გაგება, რომ პრინციპი სხვა არის, ხოლო მეთოდი ამ პრინციპის განხორციელებისა სულ სხვა. აქედან ცხადია, რომ ირონიად უნდა ჩაითვალოს სწორედ მოქ. დენისოვის გამოლაშქრება, რომელიც აქებს აზერბეიჯანში 1922 წელს განხორციელებულ მეთოდს. მისი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ორ სხვა და სხვა ცნებას ერთმანეთში ურევს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი მოქ. დენისოვს სრულიად ვერ შეუგნია იმ მეთოდის აზრი, რომელიც დავახასიათე ჩემს წერილში 1921 და 1922 წლის სასურსათო გადასახადის კამპანიის შედეგების შესახებ. იქ სრულებით არ ითქმება, ვითომც ჩვენთვის საჭირონი არ იყვნენ ინსტრუქტორები. მომზადებული მუშაკები და სხვა. იქ ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ საქართველოში სწორედ მოსავლის შეგროვების დროს გვიხდებოდა სასურსათო გადასახადის დეკრეტის შედგენა და მუშაკთა მომზადება, რასაც არ შეეძლო არ ემოქმედნა საქმის მსვლელობაზე. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ინსტრუქტორები საჭირონი არ არიან, ვინაიდან მუშაობის ყოველი მეთოდი განმარტებას ითხოვს და მუშაკთა მომზადებას იწვევს. საქმის სხვანაირი ახსნა უდრის თვით ტეხნიკის სრულს უცოდინარობას. მაგრამ ეს გაუგებრობაც, რომელსაც იჩენს ჩვენი კრიტიკოსი ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულს ინტერესს არ წარმოადგენს. ძირითადი კითხვა იმაში მდგომარეობს, რომ იყო თუ არა 1922 წელს საქართველოში სასურსათო გადასახადი, თუ სასურსათო ბეგარა და თუ არ იყო სასურსათო ბეგარა, რაში მდგომარეობს ძირითადი მიზეზი მოქ. დენისოვის გამოლაშქრებისა.

სასურსათო გადასახადი არის სოფლის მეურნეობიდან ნაწილის გადარიცხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ. სასურსათო ბეგარა გულისხმობს გლეხების ხელადებით დაბეგვრას იმის მიუხედავათ, თუ მათ რამდენი სათესი მიწა აქვთ, რა შემოსავალს იღებენ და რამდენის გადახდა შეუძლიათ.

სასურსათო გადასახადის განსახორციელებლად კი საჭიროა სათეს მიწის სივრცისა და მის შემოსავლიანობის გამორკვევა და შემოსავლის კვალობაზე ცალკე მეურნეობაზე გადასახადის შეწერა.

ყველა ეს საქმე შესრულებულ იქმნა 1921 წელს სად არის აქ სასურსათო ბეგარა? იგი, რასაკვირველია არ არის და არც ყოფილა.

მაშ რაზედ დავიდარაბობს ამ შემთხვევაში მოქ. დენისოვი? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ აქ დავა არ არის და არც შეიძლება იყოს პრინციპის სფეროში. დავა არის მხოლოდ ამ პრინციპის განხორციელების მეთოდის შესახებ. „სად არის აქ საპროცენტო გადარიცხვა თვითეულ მეურნეობის შემოსავლიდან—გაკვირვებით კითხულობს მოქ. დენისოვი, სად არის აქ წინასწარი გამოცხადება იმისა, თუ რომელ მეურნეს რამდენი აქვს შეწერილი და რამდენის თავისუფლად მოხმარება შეუძლიან".

აქ ვფიქრობ, რომ საჭიროა სათეს მიწის სივრცისა და მოსავლიანობის გამორკვევა და შემდეგ თვითეულ მეურნეობაზე გადასახადის შეწერა. მაგრამ ვინ უნდა გამოარკვიოს სათეს მიწის სივრცე? მოქ. დენისოვის რეცეპტით ეს საქმე უნდა შეასრულონ სამაზრო სასურსათო კომიტეტის აგენტებმა (უნდა ვიგულისხმოთ რომ ამ აგენტთა რიცხვი უამრავი იქნება, როგორც ეს იყო 1922 წელს აზერბეიჯანში და 1921 წელს საქართველოში), რომლებმაც კარდაკარ უნდა ჩამოიარონ და ცნობები მიიღონ თვით დაინტერესებულ გლეხთაგან. შედეგათ ამას მოჰყვება სრული არევ-დარევა, რომლის მიხედვითაც გადასახადის გაწერა მოხდება. უკეთესი არ არის, რომ გამორკვეულ იქნეს თვითეულ მეურნეობის სათეს მიწის სივრცე კი არა, არამედ მთელი სოფლისა საერთოდ და შემდეგ თემისა და ისიც შემთხვევით და უცხო აგენტების საშუალებით კი არა, არამედ მოფიქრებულ მუშაობის გზით თვით ადგილობრივ აღმასკომებში. იშვიათად დაიჯერებს მკითხველი, რომ აღმასკომებმა უფრო არა სწორე ცნობები მოგვცეს, ვიდრე სამაზრო სასურსათო კომიტეტის შემთხვევითმა აგენტებმა. საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ აღმასკომებს ეს ცნობები მზად არ აქვთ, არამედ იმაში, რომ მათზე დამყარება ბევრად უკეთესია, ვიდრე იმათზე დამყარება, ვინც ცნობებს შეაგროვებს თვით გადამხდელთაგან, რომლებიც, საზოგადოთ რომ ვთქვათ, დაინტერესებული არიან, რომ არა სწორე და სახელმწიფოსთვის საზარალო ცნობები მოგვაწოდონ. სათეს მიწის სივრცის და მოსავლიანობის ხარისხის გამორკვევის შემდეგ ჩვენთვის ადვილი იქნება პროცენტების გადარიცხვა სახელმწიფოს სასარგებლოდ თვითეულ მაზრიდან, თემიდან და სხვა. შემდეგში ალბად მოგვიხდება მუშაობა გადამხდელთა სიების შესადგენად.

სიების შედგენას თვით მოსახლეობა აწარმოებს, რომელიც სოფელში შემთხვევით მოსულ აგენტზე უკეთესად და სახელდახელოდ გამოჭედილ „სტატისტიკოსზე" უკეთესად შესძლებს დასაბეგრ მეურნეობათა შემოსავლიანობის გამორკვევას და სახელმწიფოს სასარგებლოდ საპროცენტო ანარიცხის რაოდენობის განსაზღვრას. თვითეულ გლეხს წინადვე ეცოდინება რამდენი უნდა გადაიხადოს სასურსათო გადასახადის სახით და რამდენი რჩება მის განკარგულებაში. აქ ნასახიც არ არის სასურსათო ბეგარის.

სასურსათო გადასახადის ასეთმა მეთოდმა საქართველოში საუკეთესო შედეგი მოგვცა. არც ერთი პროტესტი არ ყოფილა ადგილობრივ აღმასკომთა მხრით, შედარებით ცოტა იყო საჩივრები გლეხების მხრით, რომელთა ბედიც შემთხვევით აგენტებზე კი არ ეკიდა, არამედ თვით მოსახლეობის ხელში იყო. 1921 წელს საქართველოში და 1922 წელს აზერბეიჯანში მოქ. დენისოვის მიერ ნაქებ მეთოდის დროს აღმოჩენილ იქმნა მრავალი დიდი შეცდომა, რაც არა ერთხელ აღნიშნეს ადგილების წარმომადგენლებმა ამ ამ.-კავკასიის სასურსათო თათბირზე ეს იმიტომ, რომ ერთი კაცი საერთოდ უფრო მეტად შეიძლება შეცდეს, ვიდრე გლეხთა მთელი კრება.

საქართველოსთვის სასურსათო გადასახადი რომ ყოფილიყო განსაზღვრული არა 800.000 ფუთით, არამედ 500 ათასი, ან 300 ათასი ფუთით, მაშინ ხომ ციფრიც შეეფერებოდა სინამდვილეს—გაკვირვებით კითხულობს მოქ დენისოვი.

საქმეც იმაში მდგომარეობს, რომ ციფრი ციდან როდი უნდა იყოს აღებული თუ გვინდა, რომ არ ავკრიბოთ 200 პროცენტი ასის ნაცვლად უბრალო ანგარიშის ყველა მცოდნესათვისაც ნათელია, რომ თუ სამივე რესპუბლიკაში სწორედ იქნება გამორკვეული გადასახადის პროცენტი, შემოსავლიანობა და სათეს მიწის სივრცე, შეუძლებელი იქნება ისეთის ციფრის მიღება, როდესაც გადასახადის ჯამი სინამდვილეს არ შეეფერება. ალბათ ციფრებს 500.000 ან 300 ათას ავიღებდით შეწერის ობიექტის წინასწარ აღნუსხვის მიხედვით, როგორც ეს მოხდა 1921 წელს საქართველოში. რასაკვირველია, წინასწარი ციფრი შეცვლილი იქნება მოსავლიანობის მიხედვით გადამხდელთა სიების შედგენის დროს.

ეს არც ისე ადვილია როგორც ჰგონია პატივცემულ კრიტიკოსს.

მაინც რაში მდგომარეობს ძირითადი მიზეზი, რომ მოქ. დენისოვს არ მოსწონს ჩემ მიერ ნაჩვენები მეთოდი სასურსათო გადასახადის განხორციელებისა საქართველოში. ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ მოქალაქე დენისოვს ის არ მოსწონს. რომ ჩვენ კარდაკარ არ ჩამოვიარეთ ყველა მეურნეობის შემოსავლიანობის გამოსარკვევათ და იმედებს არ დავამყარებთ აგენტზე. არამედ დავემყარებით გლეხთა კრების სალს გონიერებას. აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ საქართველოში იყო და იქნება სასურსათო ბეგარა და არა სასურსათო გადასახადი მეტი რომ არ ვსთქვათ, გულუბრყვილობაა. იმ გარემოებიდან, რომ ჩვენ სასურსათო გადასახადის საკუთარი მეთოდი შევიმუშავეთ და ცოტა გადავუხვიეთ საბჭოთა რუსეთში მიღებულ მუშაობის მეთოდს, იმ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, რომ ჩვენში 1921 წელს სასურსათო გადასახადი არ იყო. არავისთვის შეადგენს საიდუმლოებას, რომ არც აზერბეიჯანს გადაუღია ზედმიწევნით საბჭოთა რუსეთის მეთოდი და თუ გნებავთ არც თვით პრინციპი. 1923 წლის სასურსათო გადასახადის პროექტიც, რომელიც შემუშავებულ იქმნა ამიერ-კავკასიის სასურსათო თათბირის დადგენილების მიხედვით და რომელიც დასამტკიცებლად წარმოდგენილია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში, შედგენილია ადგილობრივ სინამდვილესთან შეფარდებით და არა საბჭოთა რუსეთის კანონის პირდაპირის აზრის მიხედვით. მაგრამ ეს გარემოება უფლებას არ გვაძლევს, რომ საკითხს შევხედოთ უბრალო მოხელის თვალსაზრისით და ვიძახოთ, აქ სასურსათო გადასახადი არ არის, აქ სხვა რამ არისო.

დასასრულ კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ რამდენადაც სასურსათო გადასახადი დარჩება მოქ. დენისოვის მიერ ნაჩვენები მეთოდი საქართველოში ვერ განხორციელდება, ვინაიდან იგი იმავე შედეგებს მოგვცემს, როგორიც მოგვცა 1921 წელს.

ი. ერქომაიშვილი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსაგან

„აღდგომისათვის"

თანდათანობით ფართოვდება ანტირელიგიური კამპანიის ტალღა და მხურვალე გამოძახილს პოულობს მუშათა წრეებში მუშებში სწრაფად იკიდებს ფეხს ანტირელიგიური მიდრეკილება. კომკავშირის აღდგომა, როგორც მლოცველების თვალთმაქცობის ჩაშლის შედეგი, არ აკმაყოფილებს მუშათა აქტიურ წრეებს, რომლებიც შეჩვეულნი არიან სიტყვა საქმეს დაუკავშირონ მუშებს ყველგან გამოაქვთ დადგენილებანი აღდგომის უქმე დღეთ გამოცხადების ნაცვლად იმუშაონ.

ღებულობს რა მუშათა ამ მოძრაობას მხედველობაში და სურვილს აღდგომის დღის სამუშაო დღეთ შეცვლისა, საქართველოს პროფკავშირთა საბჭო არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ამ დღეს მუშაობა სწარმოებდეს, იქ სადაც ასეთი დადგენილება იქნება მუშების და სამეურნეო ორგანოების მიერ. ამით ასეთ, მოძრაობას მიეცემა ერთფეროვანი ხასიათი ხელოვანთა მუშაკთა მიმართ საბჭო ურჩევს იუქმონ 9 აპრილი.

თავის მხრივ საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მიესალმება ასეთ მოძრაობას და მოუწოდებს ყველა მუშებს გადასდონ ამ დღის ხელფასი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სასარგებლოთ და აღნიშნული თანხა გადასცეს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის კომიტეტს. ამ დღის ხელფასი ჩაითვალოს ჩვეულებრივი დღის ხელფასად.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას და მთლიან მუშათა ფრონტს.

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ პროფკავშირთა საბჭოს.

ძირს საეკლესიო აღდგომა.

საქარ. პროფკავშირთა საბჭო.

გერმანიის კომუნისტური პარტია და საქსონიის მთავრობის კრიზისი

მუშური მთავრობისათვის, რომელიც დაეყრდნობოდა პარლამენტის გარეთ პროლეტარიატის მებრძოლ ორგანოებს,—საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს, რომელსაც მოითხოვდა გერმანიის კომუნისტური პარტია და რომლებიც მონაწილეობაზე დასთანხმდა ის,—საქსონიაში ჯერ პირობები არ მომწიფებულა. მაგრამ მიღწეული შედეგები—გერმანიის კომუნისტური პარტიის და აქტივობისათვის გაღვიძებული მუშათა მასების დიდის ზეგავლენით სოციალ-დემოკრატიული მთავრობის შექმნა, ამტკიცებს, რომ გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ შესძლო გამოეყენებია მდგომარეობა და ამ რიგათ მიაღწია დიდი და ჩქარი გამარჯვებისათვის მასებში.

მთავრობის კრიზისი შვიდ კვირაზე მეტი გაგრძელდა. ბოლოს და ბოლოს სოციალ დემოკრატია იძულებული გახდა თავის მთავრობის პროგრამაში საგრძნობ დათმობებზე წასულიყო კომუნისტებთან.

ყველაზე მეტად სახელ-გატეხილი წევრები მთავრობისა, სოციალ-დემოკრატები, იძულებული გახდენ მთავრობიდან გასულიყვენ და მათი ადგილი დაიჭირეს მემარცხენე მიმდინარეობის წარმომადგენლებმა ახალმა მთავრობამ მიიღო თავის თავზე ვალდებულება უკიდურეს გაჭირვების გამო დანაშაულის ჩამდენთა და აგრეთვე პოლიტიკურების მიმართ, გარდა კონტრ-რევოლიუციონერებისა, ამნისტიის პროექტის დაჩქარებით შემოტანის შესახებ. ახალმა მთავრობამ თავის თავზე მიიღო აგრეთვე ფასების კონტროლის მიზნით განსაკუთრებული ორგანოების შექმნის შესახებ პროექტის დაჩქარებით შემოტანა და ამ ორგანოებში სამუშაოთ საკონტროლო კომისიების მიწვევა, მან თანხმობა განაცხადა შრომის კამერების შექმნაზე და სოც.-დემოკრატების და კომუნისტების თავდაცვის რაზმების შექმნის დროს დახმარების გაწევაზე. ყველა ეს დაპირებები, ჯერჯერობით ქაღალდზე რჩება, და ეჭვი არ არის, რომ ახალი მთავრობა,—როგორც ეს მოსალოდნელია სოციალ-დემოკრატებისაგან,—ყოველ მხრივ შეეცდება ხელი შეუშალოს მათ ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ ეს მთავრობა მოეწყო მხოლოდ გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან შეთანხმების საფუძველზე ნათლად ამტკიცებს, რომ კომუნისტურმა ლოზუნგებმა ღრმა ფესვები გაიდგეს მუშათა მასებში.

შექმნილი მდგომარეობა მეტად რთული იყო კომუნისტებისათვის. გამოდიოდნენ რა მთლიანი ფრონტის ტაქტიკიდან კომუნისტებს მიზნათ უნდა დაესახათ მუშური მთავრობის საგიტაციო ლოზუნგი მასებისათვის კონკრეტიულ აქტუალურ ლოზუნგათ გადაექციათ ამავე დროს მხედველობიდან არ გაეშვათ, რომ თუ გინდ გამარჯვების პირობებშიც ამ ტაქტიკას არ მოჰყვებოდა უშუალოდ მუშური მთავრობის შექმნა, არამედ ეს იქნებოდა შემდეგი საფეხური მუშათა მთლიანი ფრონტისა, რომელსაც მოჰყვებოდა გერმანიის კომუნისტური პარტიის გავლენის გაძლიერება სოც.-დემოკრატიულ მასებში და სოციალ-დემოკრატიული პარტიის შინაგანი კრიზისის გამწვავება.

ძველი მთავრობის დაცემის შემდეგ სოციალ-დემოკრატები გადავიდნენ შეტევაზე კომუნისტების მიმართ, რომ ამით მასებში მოემზადებინათ ნიადაგი დემოკრატებთან და სტინესის პარტიასთან შეთანხმებით ახალი მთავრობის შესაქმნელათ. მათ უარი განაცხადეს კომუნისტებთან მოლაპარაკებაზე. მაგრამ ფართე აგიტაციის, კრებების, დემონსტრაციების და საქარხნო-საფაბრიკო-კომიტეტების ძალების მობილიზაციის საშვალებით კომუნისტებმა აიძულეს სოციალ-დემოკრატები კომუნისტებთან მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყვენ. პირველ ხანებში, ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოყოლია სოც.-დემოკრატების მოღალატური ტაქტიკის გამო, რომელმაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათ არ სურთ მისცენ პროლეტარიატს შესაძლებლობა გამოიყენოს თუ გინდ შეზღუდული „დემოკრატიული" წყობილება.

კომუნისტები მოითხოვდენ მუშათა მთავრობას და ამ კითხვის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტისათვის გადაცემას გადასაჭრელად. ამავე დროს ძლიერდებოდა მემარცხენე მიმდინარეობა სოციალ-დემოკრატიაში, და ბოლოს ლანდტაგის სოც.-დემოკრატიული და კომუნისტური ფრაქციების შეერთებულ სხდომაზე მიღებული იქნა შეთანხმება საქსონიის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ყრილობის მოწვევის შესახებ. მაგრამ შემდეგ ეს დადგენილება დარღვეული იქნა პროფკავშირების ბიუროკრატების საბოტაჟის და საქსონიის სოციალ-დემოკრატების ყრილობის დადგენილების გამო, რომლებიც შეუშინდენ პროფკავშირებთან კონფლიქტს. მიუხედავათ ამისა, ამავე ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით უარყო კოალიცია ბურჟუაზიულ პარტიებთან და საჭიროთ სცნო კომუნისტებთან მოლაპარაკების გაგრძელება მათი მოთხოვნილებების საფუძველზე. ყრილობამ აირჩია საკონტროლო კომისია ს.-დ. ლიდერების საქციელისათვის კომუნისტებთან მოლაპარაკების დროს თვალყურის სადევნებლათ.

ამ მოლაპარაკებას და ბრძოლას შედეგად მოჰყვა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის შექმნა ზემოთ ხსენებულ საფუძველზე. რადგან მასების ძალდატანება თავის ლიდერებზე იფარგლებოდა ამ დადგენილებებით, კომუნისტური პარტია იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო დროებით მთლიანი ფრონტის ამ სტადიით. კომუნისტებს რომ უარი ეთქვათ ახალი მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე, როგორც ამას მოითხოვდა ოპოზიცია, მიუხედავათ იმ დათმობებისა, რომელზედაც ის წავიდა მასების ზეგავლენით, ამით ხელს შეუწყობდა სოციალ-დემოკრატიას და გზას მისცემდა ბურჟუაზიასთან კოალიციის, იმის მაგიერ, რომ დაეჭირა ახალი პოზიცია მთლიანი ფრონტისთვის. იმ დროს, როცა სოციალ დემოკრატიის ცენტრალური ორგანოები მოუწოდებდენ საქსონიის სოციალ დემოკრატებს, არავითარ შემთხვევაში არ წასულიყვნენ შეთანხმებაზე კომუნისტებთან, კომუნისტებმა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე შესძლეს სოციალ-დემოკრატიის ოპოზიციონურ მასებთან კავშირის გაბმა.

ამ კავშირის წყალობით კომუნისტებს საშუალება ეძლევათ ყოველ დღე ამხილონ მასების წინაშე სოც.-დემ. ლიდერების მოღალატეობა, მიუთითონ მათი ტაქტიკის კრახზე და ამ რიგათ იბრძოლონ ნამდვილი მუშური მთავრობისათვის.

თუ გერმანიის კონტრ-რევოლიუციამ თავის ციხე—ბურჯათ გადააქცია ფაშისტური ბავარია, გერმანიის პროლეტარიატი მიდის იმ გზით, რომ მან საქსონიაში დაუპირდაპიროს მაგარი თავდაცვითი პოზიცია.

ბ. ბელლერი.

სახალხო ბანკის სამმართველო

ქართული ბონების გაუქმების გამო — აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილიდან — ქართული ბონების გაუქმების გამო

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო ბანკის ვალდებულებანი

გადაიცვლებიან შემდეგში ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე.

(299 2—2) სახალხო ბანკის სამმართველო.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 18).

მოსკოვი, 4 აპრილი. ტემპერატურა 37,2. მაჯის ცემა—100. სუნთქვა—28. კატარრალური მოვლენა მარცხენა ფილტვებში იკლებს. საერთო მდგომარეობა უკეთესია.

მოსკოვი—4 აპრილი, დღის 2 საათი.

პროფესორები: კრამერი, ფიორსტერი, მინკოვსკი, ბუმკე.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

რეპრესიები გრძელდება.

მოსკოვი. 5 აპრილი. ფრანგებმა დაკავებულ ადგილებში დახურეს გაზეთების მთელი რიგი და დააპატიმრეს რკინის გზის 28 მუშა მოსამსახურენი. მცხოვრებთა შორის მღელვარება თანდათან იზრდება იმის გამო რომ ფრანგებმა ბიუერის და რეკლინგჰაუზენის მახლობლათ დაიკავეს მაღაროები და გასცეს განკარგულება მანგეიმის მიდამოებში არსებულ მაღაროების დაკავებისა და ბოხუმის ბანკის ფულის მარაგის კონფისკაციის შესახებ.

ძარცვა გრძელდება

ბერლინი. 5 აპრილი. ესსენიდან იუწყებიან საფრანგეთის მრავალრიცხოვან ჯარის ნაწილების მიერ ბიურის ახლო სახელმწიფო და კერძო მაღაროების ახალი დაკავების შესახებ. როგორც ჩანს მაღაროები დაკავებულია გრძელი ვადით, საფრანგეთში ნახშირისა და კოკსის მთელი მარაგის გადაზიდვის მიზნით.

ესსენის თვითმმართველობის პროტესტი

რომი. 5 აპრ. ესსენის მუნიციპალიტეტმა გაუგზავნა საფრანგეთის საოკუპაციო ჯარების მმართველობას ნოტა ენერგიული პროტესტით კრუპის ქარხნის დირექტორთა დატუსაღების წინააღმდეგ.

ოკუპაციის სიკეთე.

ბერლინი. 5 აპრილი ფრანგები განაგრძობენ კოქსის საწყობებისა და სხვა წარმოებების დაკავებას. დაკავებულ წარმოებებში მუშა მოსამსახურეები მუშაობას სწყვეტენ. რკინის გზელთა წინააღმდეგ, რომლებიც უარს აცხადებენ საფრანგეთის ხელის უფლების ბრძანებების შესრულებაზე მიღებულია უსასტიკესი ზომები. ვიდრე [illegible] მრავალი მოსამსახურეები. განსაკუთრებით საფინანსო და ადმინისტრატიულ დაწესებულებიდან დატუსაღებულნი და საოკუპაციო რაიონებიდან გაძევებულნი იყვნენ. გაძევებულთა ოჯახებს მიცემული აქვთ წინადადება მისდიონ მათ 4 დღის განმავლობაში.

ინგლისის საოკუპაციო ზონაში.

პარიზი. 5 აპრილი. გენერალ გოდლეის და გენერალ პაიოს შეთანხმების ასასრულებლათ, სამშაბათს ინგლისის საოკუპაციო ზონაში შევიდა პირველი საფრანგეთის ეშელონი, რომელიც მიიმართება რურში კელნის გავლით.

ფრანგები აფართოებენ ოკუპაციის ფარგლებს.

მოსკოვი 5 აპრილი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ჯარებმა დაიჭირეს რა ახალი სადგური და საავტომობილო ფაბრიკა, გააფართოვეს ოკუპაცია.

ოკუპაციის გარშემო

რეკვიზიცია.

ბერლინი 5 აპრილი. 3 აპრილს ფრანგებმა ბოხუმში რეიხსბანკს ჩამოართვეს 250 მილიონი მარკა.

გადასცილდენ.

ბერლინი. 5 აპრილი ქ. გაგენში, რომელიც საფრანგეთს არ უჭირავს, მოხდა შეტაკება ფრანგებსა და მოქალაქეებს შორის. ფრანგები დაატუსაღეს და საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადაგზავნეს.

ინგლისის „კეთილი" განზრახვები.

ლონდონი. 5 აპრილი. ინგლისის მინისტრმა შოტლანდიის საქმეების შესახებ ვიკონტმა გოვარდმა განაცხადა, რომ ინგლისის მონაწილეობა რურის ოკუპაციაში გამოწვეულია ინგლისის კომერციული ინტერესების დაცვის სურვილით, ინგლისი მუდამ მზად არის იკისროს შუამავლობა, როცა ეს საჭირო იქნება.

ახალი „ხერხი".

ლონდონი. 5 აპრილი. „დეილი ტელეგრაფს" დიპლომატიური კორესპონდენტი, იხილავს რა საკონტრიბუციო პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებს, წინადადებას იძლევა მოკავშირე სახელმწიფოების ვალები ამერიკისადმი გადადებულ იქნას გერმანიაზე.

უვნებელი საქმე.

პარიზი. 5 აპრილი. ვაშინგტონიდან მოსულ ცნობით, გუვერმა განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია არ არის საზიანო ამერიკის ვაჭრობისათვის. პირიქით, ოკუპაცია ხელს უწყობს მის განვითარებას. განსაკუთრებით კეთილ გავლენას ახდენს ოკუპაცია ამერიკის მეტალურგიაზე. მრეწველობის დანარჩენ დარგებში და მიწათმოქმედებაში ოკუპაცია ამცირებს ამერიკის მეტოქეობას სხვა ქვეყნებთან.

ესსენის ამბები

სისხლის ღვრა.

ბერლინი. 5 აპრილი გერმანიის მთავრობამ პროტესტით მიმართა ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას, ესსენში მომხდარი სისხლის ღვრის გამო. გერმანიის მთავრობა ამ ამბების პასუხისმგებლობას აკისრებს საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც არ გასცა ბრძანება მომხდარი ამბების გამორკვევის და დამნაშავეთა დასჯის შესახებ. ნოტა მოითხოვს დაზარალებულთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფას და აგრეთვე ყველა დატუსაღებულთა განთავისუფლებას.

მდგომარეობა გამწვავებული რჩება.

მოსკოვი. 5 აპრილი უკანასკნელ დახვრეტების გამო, მდგომარეობა ესსენში რჩება გამწვავებული. კრუპპის ქარხნის ოთხი დირექტორის დატუსაღება და მათი სასამართლოზე გადაცემა მოხდა იმ მოსაზრებით, რომ [illegible] ესსენში მომხდარ სისხლის მღვრელ მოქმედების დამნაშავენი.

გამოძახილი.

რომი. 5 აპრილი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რურის ოლქში მუშათა შორის ესსენში მომხდარ დახვრეტით გამოწვეული მღელვარება მეფობს. რამოდენიმე ადგილას გამოცხადებული იყო პროტესტის გაფიცვა. ფრანგების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ძნელდება.

ახლო აღმოსავლეთი

ბოლგარეთის ნოტა.

მოსკოვი. 5 აპრილი. ბულგარეთის მთავრობამ გადასცა ანტანტის წარმომადგენელთ ნოტა, რომელშიც თხოვს მიიღონ სათანადო ზომები ბერძნების წინააღმდეგ, რომელნიც აღმოსავლეთ ფრაკიაში სისტემატიურათ დევნიან ბულგარელ მცხოვრებთ.

მთავრობამ დანაპირები შეასრულა.

ანგორა. 3 აპრილი კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ რაუფ-ბეიმ მეჯლისში გააკეთა მოხსენება, რომელშიდაც აღნიშნა, რომ მთავრობამ შეასრულა დაპირება ალი-შუკრის მკვლელის დასჯის შესახებ.

ბოლგარეთის პროტესტი.

რომი. 5 აპრილი. ბოლგარეთის მთავრობამ გადასცა მოკავშირეების წარმომადგენლებს სოფიაში საპროტესტო ნოტა აღმოსავლეთ ფრაკიაში ბოლგარეთის მცხოვრებლების ბერძნების მიერ შევიწროების წინააღმდეგ.

ანგორის მთავრობის პასუხი.

ბერლინი. 5 აპრილი. ლონდონის საღამოს გაზეთები გადმოგვცემენ, რომ მოკავშირეების მთავრობებმა მიიღეს სტამბოლიდან ოსმალეთის მთავრობის პასუხი, რომელშიაც უკანასკნელი აცხადებს, რომ ის მზად არის განაახლოს 15 აპრილს საზავო მოლაპარაკება ლოზანაში.

სამხედრო გემების შეტაკება.

ლონდონი 5 აპრილი. სტამბოლში ინგლისის კრეისერი „სერეო" დაეჯახა ამერიკის გამანადგურებელს „ფოქს"-ს. ორივე გემი დაზიანებულია.

დახმარების შეწყვეტა.

ლონდონი. 5 აპრილი. ივნისიდან ამერიკის წითელი ჯვარი სწყვეტს თავის მუშაობას საბერძნეთში.

მკვლელი აღმოაჩინეს და დასაჯეს.

მოსკოვი 5 აპრილი. ანგორიდან იტყობინებიან, რომ დაკარგული დეპუტატის, ოპოზიციის ლიდერ ალი-შუკრი-ბეის გვამი აღმოაჩინეს ანგორიდან რამოდენიმე მანძილით დაშორებით. გახვეული იყო ბრეზენტში. ალი შუკრი-ბეის მკვლელი, ბანდის წინამძღოლი ოსმან აღა, ჩამოახრჩვეს. ოსმანის მიმდევრებს და პოლიციის შორის მომხდარი შეტაკების დროს მოკლულია ოსმანის 12 მომხრე და ოსმალეთის 5 ჯარისკაცი.

დამოუკიდებელთა კონფერენცია

ისევ ძველი პოზიცია.

მოსკოვი. 5 აპრილი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციაზე, რომელიც შესდგა ლონდონში, ირჩეოდა საკითხი მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალებისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელთა პოლიტიკას სასტიკად აკრიტიკებდენ მრავალი ორატორი. მაგრამ წინადადება კომინტერნთან დაახლოვების შესახებ უარყოფილ იქნა 265 ხმის უმეტესობით, 152 ხმის წინააღმდეგ. **დამოუკიდებელი მუშათა პარტია კვლავ რჩება 2½ ნახ. ინტერნაციონალის პოზიციაზე.** გამწვავებული კამათი გამოიწვია საკითხმა მაგარი სასმელების აკრძალვის შესახებ. ამ საკითხში კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მაგარი სასმელების წარმოება და განაწილება უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ კონტროლს. კონფერენციამ მიიღო აგრეთვე დადგენილება, რომლითაც მუშათა კლასის წარმომადგენლებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ ბანკეტებზე და საზეიმო სადილებზე მეფესთან და ინგლისის არისტოკრატიის წარმომადგენლებთან ერთად. ეს დადგენილება მიმართულია მუშათა პარტიის იმ ლიდერების წინააღმდეგ, რომლებმაც ამას წინად მონაწილეობა მიიღეს მეფის მიერ გამართულ სადილზე.

ამავე კონფერენციაზე მიღწეული იყო შეთანხმება საფრანგეთის და გერმანიის სოციალისტებს შორის. უკანასკნელ სხდომაზე ლონგემ და კრისპინმა საყოველთაო თანხმობით ხელი მისცეს ერთი მეორეს. მაკდონალდმა განაცხადა, რომ ის ამაში ხედავს გერმანიის და საფრანგეთის პროლეტარიატის გაერთიანების სიმბოლოს.

ლეიტენანტ შმიდტის მკვლელის გამართლება

მოსკოვი. 6 აპრილი. სევასტოპოლის უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყო გარჩევა ლეიტენანტ სტავრაკის საქმისა, რომელსაც ბრალათ ედება მონაწილეობა 1905 წლის შავი ზღვის ფლოტის აჯანყების ჩაქრობაში და ლეიტენანტ შმიდტის მკვლელობაში. სტავრაკიმ არ იცნო თავი დამნაშავეთ, მაგრამ მისი დანაშაული გამოაშკარავებულია მოწმეთა ჩვენებით. ერთად ერთი მოწმე, მკვლელობის დამსწრე დოქტორი ფეოდოტოვი მალავს ბოროტმოქმედების მთავარ მომენტებს. პროკურორის შუამდგომლობით სასამართლომ დაადგინა დაატუსაღოს ფეოდოტოვი და გაასამართლოს იგი როგორც მკვლელობის ხელის შემწყობი. გასამართლების შედეგში სტავრაკის დანაშაული დამტკიცდა და სასამართლომ მას დახვრეტა მიუსაჯა.

სხვადასხვა ამბები

შვეიცარია.

ახალი ლოზანა.

მოსკოვი 5 აპრილი. ნიუიორკის გაზეთის „ტრიბუნის" ცნობით მოლაპარაკებანი ლოზანაში დაიწყება აპრილის დამლევს. ფიქრობენ, რომ მოლაპარაკებანი არ გასტანს ორ თვეზე მეტს.

რუმინეთი.

პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 5 აპრ. რუმინეთის ოპოზიციონური პარტიების წარმომადგენლები 30 მარტს მივიდენ პარლამენტში და განაცხადეს, რომ რუმინეთის კონსტიტუციის კანონის დადასტურებას მეფის მიერ ისინი არ სცნობენ და აცხადებენ პროტესტს მთავრობის მიერ ჩადენილ ძალადობის წინააღმდეგ.

ავსტრია.

ერთა ლიგა რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

მოსკოვი 5 აპრილი. ერთა ლიგის კომისარმა ავსტრიაში, ციმერმანმა განაცხადა, რომ ავსტრიის კრედიტები არ იქნება გადიდებული მანამდე სანამ არ გაუქმდება რვა საათის სამუშაო დღე. ციმერმანმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სახელმწიფო ხარჯების შემცირება სოციალური უზრუნველყოფის დარგში, ხოლო უმთავრესი უარის თქმა გერმანიასთან შეერთების აზრზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

დასვენების სახლი.

მოსკოვი. 4 აპრილი. სახალხო კომისართა საბჭომ მთელ რესპუბლიკის დასვენების სახლებში ზაფხულის თვეებისთვის მაისიდან სექტემბრამდე მოაწყო 10-000 საწოლი, რომელიც შენახული იქნება სახელმწიფო ხარჯით.

ენციკლოპედიური სიტყვარი.

მოსკოვი 4 აპრილი. სახ. კომ. საბჭომ წინადადება მისცა ფინანსთა კომისარიატს შევიდეს შეთანხმებაში სახელმწიფო გამომცემლობასთან ფინანსიურ დახმარების შესახებ ენციკლოპედიურ სიტყვარისთვის, რომელიც იცემა ცენტრ. აღმასკომის მიერ.

შრომის შემნახველი კასა.

მოსკოვი. 4 აპრილი. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ახლო მომავალში შეუდგება სახელმწიფო შრომის შემნახველ კასების მოწყობას რესპუბლიკის ქალაქებში.

პირველ რიგში კასები გაიხსნება მოსკოვში, პეტროგრადში, ხარკოვში, ტულაში, როსტოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში, კიევში და ნიჟნი ნოვგოროდში. შემდეგი კასები გაიხსნება აგრეთვე სხვა გუბერნიებშიაც საგუბერნიო და სამაზრო ფინანსიურ განყოფილებებთან. ამის გარდა განზრახულია სახალხო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის დაწესებულებებთან გაიხსნეს ფოსტა-ტელეგრაფის კასები. გაიხსნება აგრეთვე რკინის გზების სადგურების კასები. შემნახველ კასების განყოფილებანი მოეწყობა უმთავრესად სასოფლო რაიონებში.

უკრაინა.

დონის ნახშირის შესწავლა

მოსკოვი 4 აპრილი. ხარკოვში ჩამოვიდა დონის ბასეინის მდგომარეობის გამოსარკვევათ კომისია ამხ. ბერეტის [illegible] იუწყება, რომ კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა. საკითხი ნახშირის სინდიკატების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილია [illegible]

წიგნის გაიაფებისათვის

მოსკოვი 4 აპრილი. წიგნების გაიაფების მიზნით უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოთა სახელმწიფო გამომცემლობა განთავისუფლებულა გადასახადებისაგან და რკინის გზებზე წიგნების გადაზიდვის საქმეში მიანიჭა შეღავათიანი პირობები.

რუსეთის გემები უცხოეთში.

მოსკოვი 4 აპრილი. გემი „ელბრუსის" კაპიტანი, რომელიც დაბრუნდა კონსტანტინეპოლიდან, იძლევა მეტად საყურადღებო დაწვრილებითი ცნობებს რუსეთის გემების შესახებ კონსტანტინოპოლში. ბოსფორში

მენშევიკების განცხადება

გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს.

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ, საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრები, ვაცხადებთ, რომ მენშევიკურმა პარტიამ და მეორე ინტერნაციონალმა გაჰყიდეს მუშათა კლასის ინტერესები, ისინი დაუკავშირდენ ჩვენ მტრებს და ჩვენ საწინააღმდეგოთ მუშაობენ ისინი:

სდევნიდენ საქართველოში მუშათა კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას, დაუკავშირდნენ მეფის გენერლებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში, მსოფლიოთ ბურჟუაზიის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ბანდიტებს: ჩოლოყაშვილს, მათითაიშვილს, მანწკავას. მათი სურვილია ჩამოაგდონ მუშათა კლასის მთავრობა. ამიტომაც ჩვენ დღეის რიცხვიდან გამოვდივართ მენშევიკური პარტიიდან ვგმობთ რა მის პოლიტიკას.

1.	მეჩხია ლუკა	პარტ. წევრი	1905 წ.
2.	მინდაძე ირაკლი მიხეილის ძე	„	1918 წ.
3.	მეგრელიშვილი ალექსი ასალოს ძე	„	1919 წ.
4.	ჩხიკვაძე ალექსანდრე ივლიანესძე	„	1907 წ.
5.	ჯაყელი ბარნაბ ვახტანგისძე	„	1902 წ.
6.	ელენტი იული იოსებისძე	„	1917 წ.
7.	მეგრელიშვილი იაგორ ალექსანდრესძე	„	1905 წ.
8.	მეგრელიშვილი გაბრიელ დიმიტრისძე	„	1918 წ.
9.	ბერძენიშვილი ჯამულეთი ამბაკოსძე	„	1917 წ.
10.	ხაბაიშვილი დიომიდე ლუკასძე	„	1904 წ.
11.	ხაბაიშვილი ნოე დავითისძე	„	1905 წ.
12	ხანიკიძე ნიკოლოზ მალიკოსძე	„	1919 წ.
13	ბერძენიშვილი ილარიონ სპირდონისძე	„	1919 წ.
14	ცინცაძე გიორგი ფილიპესძე	„	1918 წ.
15.	მეგრელიშვილი მოსე ლაზარესძე	„	1905 წ.
16.	ცინცაძე რაფიელ ფარნაოზისძე	„	1917 წ.
17.	ცინცაძე კალენიკე მიქელის ძე	„	1915 წ.
18.	ჩანტლაძე ივლიანე ივანესძე	„	1914 წ.
19.	მეგრელიშვილი იოსებ გიორგისძე	„	1903 წ.
20.	კიწმარაშვილი ილიკო კოწიასძე	„	1917 წ.
21.	აცანელიძე თედორე ათანასესძე	„	1919 წ.

ნაციონალური მომენტები

პარტიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში

(ამხ. სტალინის თეზისები მოწონებული პარტიის ცეკას მიერ)

I

1) კაპიტალიზმის განვითარებამ გამოამჟღავნა ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში ტენდენცია წარმოების საშუალებათა და გაცვლა-გამოცვლის ინტერნაციონალიზაციისა, ხალხთა სამეურნეო დაახლოვებისა და დიდი ტერიტორიების თანდათანობითი გაერთიანებისა ერთ მთლიან სხეულში; კაპიტალიზმის შემდეგი განვითარებამ, მსოფლიო ბაზრის განვითარებამ დიდი საზღვაო და რკინის გზებით მიმოსვლის მოწესრიგებამ, კაპიტალის გატანამ და სხვა კიდევ უფრო გაძლიერეს ეს ტენდენცია, დააკავშირეს რა სხვადასხვა ტომის ხალხები შრომის საერთაშორისო განაწილების და ურთიერთთან ყოველმხრივი დამოკიდებულების კავშირით. რამდენადაც ეს პროცესი ასახავდა საწარმოვო ძალთა განვითარებას, რამდენადაც იგი ადვილებდა ნაციონალურ კარჩაკეტილობის და სხვა და სხვა ხალხთა მოწინააღმდეგე ინტერესების მოსპობას, იმდენად იგი იყო და არის პროგრესიული პროცესი, ვინაიდან იგი ამზადებს წინასწარ მატერიალურ მომავლის მსოფლიო სოციალისტურ მეურნეობისათვის.

2) მაგრამ ეს ტენდენცია ვითარდებოდა თავისებურ ფორმებში, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა მის შინაგან ისტორიულ აზრს, ხალხთა ერთმანეთისაგან დამოკიდებულება და ტერიტორიების სამეურნეო გაერთიანება მოხდა კაპიტალიზმის განვითარების პროცესში არა ხალხთა, როგორც თანასწორ უფლებიან ერთეულთა თანამშრომლობის გზით, არამედ ერთ ხალხთა მიერ მეორის დამორჩილების წესით, უფრო განვითარებულ ხალხთა მიერ ნაკლებად განვითარებულ ხალხთა ჩაგვრის და ექსპლოატაციის გზით. კოლონიალური ძარცვა და დაპყრობა, ნაციონალური ჩაგვრა და უთანასწორობა, იმპერიალისტური თვითნებობა და ძალადობა, კოლონიალური მონობა და ეროვნული უუფლებობა, ბოლოს, „ცივილიზაციის მქონე" ერთა ურთიერთ შორის ბრძოლა „ცივილიზაციას მოკლებულ" ხალხთა დაპყრობისათვის,—ასეთია ის ფორმები, რომლის ჩარჩოებში მიმდინარეობდა ხალხთა სამეურნეო დაახლოვების პროცესი. ამიტომ გაერთიანების ტენდენციის გვერდით ვითარდებოდა ამ გაერთიანების ძალდატანებითი ფორმების მოსპობის ტენდენცია, ბრძოლა დაჩაგრულ კოლონიების და იმპერიალისტურ უღლის ქვეშ მყოფ ეროვნებათა განთავისუფლებისათვის. რამდენადაც ეს მეორე ტენდენცია მოასწავებდა ჩაგრულ მასების აღშფოთებას გაერთიანების იმპერიალისტურ ფორმების წინააღმდეგ, რამდენადაც იგი მოითხოვდა ხალხთა გაერთიანებას თანამშრომლობის და თავისუფალი კავშირის საფუძვლებზე, იმდენად იგი იყო და არის პროგრესიული ტენდენცია. ვინაიდან იგი ამზადებს სულიერ წინასწარ პირობებს მომავალი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობისათვის.

3) ამ ორ ძირითად ტენდენციის შორის წარმოებული ბრძოლა, რომელიც გამოხატულია კაპიტალიზმისათვის შესაფერისს ფორმებში, ავსებს მრავალ ეროვნებიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ისტორიას. შეურიგებელი წინააღმდეგობა ამ ტენდენციებს შორის კაპიტალისტური განვითარების ჩარჩოებში საფუძვლად დაედო ბურჟუაზიულ კოლონიალურ სახელმწიფოების უძლურებას და არგანიულ მერყეობას. აუცილებელი კონფლიქტები ამ სახელმწიფოების შორის და აუცილებელი ომები ასეთ სახელმწიფოებსა, ძველი კოლონიალურ სახელმწიფოების დაშლა და ახალის დაარსება, კოლონიების შეძენისაკენ ლტოლვა და მრავალ ერებიან სახელმწიფოების ახალი დაშლა, რომელიც იწვევს მსოფლიოს პოლიტიკურ რუქის ხელახლა შეცვლას,—ასეთია ამ ძირითად წინააღმდეგობის შედეგები. ძველი რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის და ოსმალეთის დაშლა—ერთის მხრივ და ისტორია ისეთ კოლონიალურ სახელმწიფოებისა, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი და ძველი გერმანია—მეორეს მხრივ, შემდეგ „დიდი" იმპერიალისტური ომი და კოლონიალურ და არა სრულუფლებიან ხალხთა რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა,—ყველაფერი ეს და ამგვარი ფაქტები აშკარად ამტკიცებენ მრავალ ერებით დასახლებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მერყეობას და სისუსტეს.

ამგვარად, შეურიგებელი წინააღმდეგობა ხალხთა სამეურნეო გაერთიანების პროცესსა და ამ გაერთიანების იმპერიალისტურ ფორმებს შორის ამტკიცებს ბურჟუაზიის უძლურებას და უმწეობას სისწორით გადასჭრას ეროვნული საკითხი.

4) ჩვენი პარტია მოღვაწეობაში იღებდა ამ გარემოებებს, საფუძვლად დაუდო რა მან ნაციონალურ პოლიტიკას ერთა თვითგამორკვევის, ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. ჯერ კიდევ თავის არსებობის პირველ დღეებში, პირველ თავის ყრილობაზე (1898 წ.), როდესაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობა ნაციონალურ საკითხში არ იყო ცხადათ ჩამოყალიბებული, პარტიამ აღიარა ეროვნებათა ეს უდავო უფლებები. შემდეგ იგი გადაუხვევლად ადასტურებდა თავის ეროვნულ პროგრამას სპეციალურ დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების სახით ყრილობებსა და კონფერენციებზე ოქტომბრის გადატრიალების დღემდე.

იმპერიალისტური ომი და მასთან დაკავშირებული ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა პოლონეთში ერთხელ კიდევ ადასტურებდენ პარტიის გადაწყვეტილებას ეროვნულ საკითხში. ამ გადაწყვეტილებათა აზრი მდგომარეობს: ა) ეროვნებათა მიმართ ყოველგვარ ძალდატანებითი ფორმების სრულ უარყოფაში; ბ) ხალხთა თანასწორობა და სუვერენობის აღიარებაში; ვ) იმ დებულების აღიარებაში, რომ ხალხთა მტკიცე გაერთიანება შეიძლება გატარდეს მხოლოდ თანამშრომლობის და თავისუფალი სურვილის საფუძველზე; დ) იმ ჭეშმარიტების აღიარებაში, რომ ასეთ გაერთიანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ძალა-უფლების დამხობის შემდეგ.

ამ განმანთავისუფლებელ ეროვნულ პროგრამას ჩვენი პარტია მუდამ უპირდაპირებდა როგორც ცარიზმის აშკარა—ჩაგვრის პოლიტიკას, ისე მენშევიკების და ესერების ნახევრად იმპერიალისტურ პოლიტიკას. თუ ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ შექმნა უფსკრული ცარიზმსა და ძველი რუსეთის ეროვნებათა შორის ხოლო მენშევიკების და ესერების ნახევრად იმპერიალისტურმა პოლიტიკამ გამოიწვია ამ ეროვნებათა საუკეთესო ელემენტების კერენშჩინიდან ჩამოშორება, მაშინ ჩვენი პარტიის განმანთავისუფლებელმა პოლიტიკამ მოიპოვა ამ ეროვნებათა ფართო მასების თანაგრძნობა და მხარის დაჭერა ცარიზმის და იმპერიალისტურ რუსეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლში. ეჭვს გარეშეა, რომ თანაგრძნობა და მხარის დაჭერა იყო გადამწყვეტი მომენტთაგანი, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი პარტიის გამარჯვება ოქტომბრის დღეებში.

5) ოქტომბრის რევოლიუციამ პრაქტიკული დასკვნა გაუკეთა ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს ეროვნულ საკითხში. დაამხო რა მემამულეების და კაპიტალისტების ეროვნულ ჩაგვრის მატარებელთა ძალა-უფლება და დააყენა რა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი, ოქტომბრის რევოლიუციამ ერთი დაკვრით დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, მოსპო ხალხთა შორის ძველი ურთიერთობა, აღმოფხვრა ძველი ეროვნული შუღლი, გასწმინდა ნიადაგი ხალხთა თანამშრომლობისათვის და მოუპოვა რუსეთის პროლეტარიატს სხვა უცხო ეროვნებათა ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და აზიაში. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ ასეთი ნდობის გარეშე რუსეთის პროლეტარიატი ვერ შესძლებდა კოლჩაკის და დენიკინის, იუდენიჩის და ვრანგელის დამარცხებას. მეორე მხრივ უეჭველია, რომ ჩაგრული ერები ვერ მიაღწევდენ განთავისუფლებას რუსეთის ცენტრში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გარეშე. ეროვნული შუღლი და ეროვნული შეტაკებანი აუცილებელია, სანამ ძალა-უფლება კაპიტალის ხელშია, სანამ წვრილი ბურჟუაზია და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობა ყოფილ „მპყრობელი" ერისა, ნაციონალისტური ცრუმორწმუნეობით მხარს უჭერენ კაპიტალისტებს, და პირიქით, ეროვნული მშვიდობიანობა და ეროვნული თავისუფლება შეიძლება ჩაითვალოს უზრუნველყოფილად, თუ გლეხობა და სხვა წვრილ-ბურჟუაზიული ფენები მხარს უჭერენ პროლეტარიატის დიქტატურას. ამიტომ საბჭოების გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება არის ის ბაზა, ის საძირკველი, რომელზედაც შეიძლება იქნეს აშენებული ხალხთა თანამშრომლობა ერთიან სახელმწიფოებრივ კავშირში.

6) მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის შედეგები არ ამოიწურება ეროვნული ჩაგვრის მოსპობით, ხალხთა გაერთიანებისათვის ნიადაგის მომზადებით. თავის განვითარების დროს ოქტომბრის რევოლიუციამ გამოიმუშავა ამ გაერთიანების ფორმები, გაითვალისწინა მთავარი ხაზი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ხალხთა გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოში. რევოლიუციის პირველ პერიოდში, როდესაც ეროვნებათა მშრომელმა მასებმა პირველად იგრძნეს თავი დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულად მაშინ, როდესაც უცხოეთის ინტერვენციის მუქარა არ წარმოადგენდა ჯერ კიდევ რეალურ საფრთხეს,—ხალხთა თავისუფლებას არ ჰქონია ჯერ კიდევ სავსებით განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ფორმები. სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც ეროვნულ რესპუბლიკების სამხედრო თავდაცვის ინტერესები წინა რიგში იყო დასმული, მაშინ, როდესაც სამეურნეო აღმშენებლობის საკითხები არ იყო წამოყენებული,—თანამშრომლობამ მიიღო სამხედრო კავშირის ფორმა. ბოლოს, ომის შემდეგ პერიოდში, როდესაც ომისაგან განადგურებულ საწარმოვო ძალთა აღდგენის საკითხები დადგენ პირველ რიგში,—სამხედრო კავშირი შევსებული იქმნა სამეურნეო კავშირით. ეროვნულ რესპუბლიკების გაერთიანება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში არის დამ გვირგვინებელი ეტაპი თანამშრომლობის ფორმების განვითარებაში, რომელმაც მიიღო ამ შემთხვევაში ხასიათი ხალხთა სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანებისა ერთიან მრავალ ეროვნებით დასახლებულ საბჭოთა სახელმწიფოში.

ამგვარად, პროლეტარიატმა ჰპოვა საბჭოთა წესწყობილებაში გასაღები ეროვნულ საკითხის სისწორით გადაჭრისათვის, მან გამონახა გზა მრავალეროვნებიან სახელმწიფოს მტკიცე ორგანიზაციისათვის ეროვნულ თანასწორობის და თავისუფალი სურვილების საფუძვლებზე.

7) მაგრამ ეროვნულ საკითხის სისწორით გადასაჭრელად გასაღების მიგნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ საკითხის სავსებით და საბოლოოდ გადაწყვეტას და მის კონკრეტულ-პრაქტიკულად განხორციელებას. ეროვნული პროგრამის ცხოვრებაში სისწორით გატარებისათვის საჭიროა კიდევ გადალახვა იმ დაბრკოლებათა, რომელიც ჩვენ მივიღეთ მემკვიდრეობის სახით ეროვნულ ჩაგვრის განვლილ პერიოდისაგან და რომლის გადალახვა მოკლე ხნის განმავლობაში არ შეიძლება.

ეს მემკვიდრეობა მდგომარეობს, ჯერ ერთი, თვითმპყრობელურ შოვინიზმის ნაშთებში, რომელიც არის ველიკორუსების ყოფილ პრივილეგიურ მდგომარეობის გამოხატულება. ეს ნაშთები ჯერ კიდევ ცოცხლადაა დაცული ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა მუშაკთა თავებში, დაბუდებულია ჩვენ ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, აქ ნაშთებს ასულდგმულებენ სმენოვეხოველების „ახალი" ველიკორუსულ—შოვინისტური იდეები, რომელიც თან და თან იზრდება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. პრაქტიკულად იგი გამოიხატება ამპარტავნულ და უსულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებაში რუსეთის საბჭოთა მოხელეებისა ეროვნულ რესპუბლიკების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა მიმართ.

მრავალ ერებიანი საბჭოთა სახელმწიფო სინამდვილეში შეიქმნება მტკიცე, ერების თანამშრომლობა მასში კი იქნება ნამდვილი ძმური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაშთები აღმოფხვრილი იქნება ჩვენი სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკიდან მტკიცედ და სამუდამოთ, ამიტომ შეურიგებელი ბრძოლა ველიკორუსულ შოვინიზმის ნაშთებთან შეადგენს ჩვენი პარტიის პირველ მორიგ ამოცანას.

ეს მემკვიდრეობა, მეორე მხრივ, შესდგება რესპუბლიკების კავშირის ერების ფაქტიურ, ე. ი. სამეურნეო და კულტურულ უთანასწორობიდან. უფლებრივი ნაციონალური თანასწორობა, რომელიც მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციამ, ერების უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ თავისთავად ის არ სწყვეტს ეროვნულ საკითხს.

რესპუბლიკების და ერების მთელი რიგი, რომელთაც არ გაუვლიათ ან თითქმის არ გაუვლიათ კაპიტალიზმი, რომელთაც არ ყავთ ან თითქმის არყავთ საკუთარი პროლეტარიატი და ამიტომ ჩამორჩენილი არიან კულტურულ და სამეურნეო მხრივ, ვერ გამოიყენებენ სავსებით ეროვნული თანასწორობით მოპოებულ უფლებებს და შესაძლებლობებს, ვერ ავლენ განვითარების უმაღლეს საფეხურზე და ვერ დაეწევიან წინ წასულ ერებს, გარედან ხანგრძლივი და რეალური დახმარების გარეშე. აქ ფაქტიური უთანასწორობის მიზეზები იმალებიან არა მარტო ამ ერების ისტორიაში, არამედ მეფის მთავრობის და რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკაშიც, რომლებიც ცდილობდენ განაპირა ქვეყნები გადაექციათ ნედლი მასალის რაიონებათ, რომელთაც ყვლეფდა მრეწველობა-განვითარებული ცენტრალური რაიონები.

ამ უთანასწორობის დაძლევა, მისი მოსპობა ორი-სამი წლის განმავლობაში შეუძლებელია. ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის მეათე ყრილობამ აღნიშნა, რომ „ფაქტიური ნაციონალური უთანასწორობის მოსპობა არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს მტკიცე და მუდმივ ბრძოლას კოლონიალური მონობის და ნაციონალური ჩაგვრის ყველა ნაშთებთან". მაგრამ მისი დაძლევა საჭიროა აუცილებლათ. მისი დაძლევა შეიძლება მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის რეალური და ხანგრძლივი ერებ სადმი მათი სამეურნეო და კულტურული წინსვლის საქმეში. ამის გარეშე უსაფუძვლოა იმედი მტკიცე და სწორი თანამშრომლობის დამყარებაზე ერთიან საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში. ამიტომ ბრძოლა ერების ფაქტიური უთანასწორობის მოსასპობათ, ბრძოლა ჩამორჩენილ ერების კულტურულად და ეკონომიურად ასამაღლებლად, შეადგენს ჩვენი პარტიის მეორე მორიგ ამოცანას.

ეს მემკვიდრეობა, დაბოლოს, შესდგება ნაციონალიზმის ნაშთებიდან ერების მთელ რიგში, რომლებმაც გაიარეს ნაციონალური ჩაგვრის მძიმე უღელი და რომლებიც ჯერაც ვერ განთავისუფლებულა ნაციონალური შეურაცყოფის გრძნობიდან. ამ მემკვიდრეობის პრაქტიკულ გამოხატულებას შეადგენს წინათ დაჩაგრული ერების ერთგვარი ნაციონალური განშორება და სრული ნდობის უქონლობა იმ ღონისძიებებისადმი, რომლებიც რუსებისაგან გამომდინარეობენ. ამის გარდა, ზოგიერთ რესპუბლიკებში, რომლებიც შესდგება რამდენიმე ერისაგან, ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი ხშირათ იქცევა შეტევითი, უფრო ძლიერი ერის უხეშ ნაციონალიზმათ, რომელიც მიმართულია ამ რესპუბლიკების უფრო სუსტი ერების წინააღმდეგ.

ქართული შოვინიზმი (საქართველოში), მიმართული სომხების, ოსების, აჭარლების და აფხაზების წინააღმდეგ; შოვინიზმი აზერბაიჯანული (აზერბაიჯანში), მიმართული სომხების წინააღმდეგ; შოვინიზმი უზბეკური (ბუხარაში და ხორეზმში), მიმართული თურქმენების და ყირგიზების წინააღმდეგ,—შოვინიზმის ყველა ეს გამოხატულება, რომელსაც ხელს უწყობს ახალი ეკონომიური პოლიტიკის და კონკურენციის პირობები, წარმოადგენენ უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკებს ქიშპობის და ბრძოლის არენათ გადაქცევას უქადის.

ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ ყველა ეს მოვლენები აფერხებენ ფაქტიურ გაერთიანებას და ერთიანი სახელმწიფო კავშირის შექმნას. რამდენათაც ნაციონალიზმის ნაშთები თავისებური ფორმაა ველიკორუსული ნაციონალიზმისაგან თავის დასაცავად, ამ უკანასკნელთან ბრძოლა [illegible]

პატარა ფელეტონი

ისევ!..

რ ო მ ი. 2 აპრილი, ლოზანიდან იტყობინებიან, რომ ლოზანის კონფერენცია მოკავშირეთა და ოსმალეთ შორის განახლდება 15 აპრილს.
(დეპეშებიდან)

აგუგუნდენ ორთქლმავლები,
ლოზანისკენ მიმალები
ლონდონ-პარიზ-რომ-ათინით..
არა გჯერათ? რას იცინით?
იქ კვლავ ესნიან „ქაქან-კაკანს“
და აძლევენ წინ გასაქანს
ისტორიის მატარებლს,
მთა და ბარის ქშენით მკლებელს.
მაგრამ მსუბუქს და უტვირთოს,
დიპლომატები რომ გვირთოს,
რომ ატაროს იქით-აქეთ...
ლოზანაშიც ეხლა ნახეთ:
ბაკი, ბუკი! პაკი, პუკი!..
ახ, სადაა ის „ხელ-რუკი“,
ზღაპრად თქმული შეტაკებით!
მე მას ზურგზე შეთაქებით.
დიპლომატებს იქ ვაკვეთებ:
ანგელოზებს დივფურთებ
და შინისკენ ვიფრინ ყვილას,
„მატარებელს“ მისცემ შველას.
რადგან ყველას შევსვამ ვირზე
და დავასვამ შავს დალს ცხვირზე!..

ონისიმე.

რით აიხსნება?!.

პ ა რ ი ზ ი. 3 აპრილი. პარიზის პრესის ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ არ მიიღო ამერიკის ფინანსისტების წინადადება საბერძნეთისათვის 12 მილიონ დოლარის სესხად მიცემის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფილია თამბაქოს ექსპორტით.
(დეპეშებიდან)

„შიმშილმა პურსო
არ სჭამს ძაღლი!“.
აქ კაცმა იმ ფიქრს
როგორ დასძლიოს.
მშიერი ძაღლი
პურს არ ნდობობდეს!
ძაღლი კი არა,
ლომიც ლოკობდეს.
შიმშილი მისაც
მოლინაკს წელში
და ლუკმისათვის
შეიძვრენს ხრელში!..
მაშ, ეს მოვლენა
რით აიხსნება,
რომ საბერძნეთმაც
კი არ ინება.
მცირე სესხი დიდ
ამერიკიდგან?!.
იცოდა, რომ ტყავს
კუდიც [illegible]
მას ააცილდა
უკანასკნელსა,
ვილისთვის კვლავ რომ
სჭედებოდა ყელსა!..
მან კი შეძლეული
ლუკმა პატარა,
თუმც ჰშია,
მაინც არ მიიკარა!..

ონისიმე.

„ელბრუსს“ გემებმა გაუმართეს სალიუტი ერთ-ერთი ჟურნალი აღნიშნავს: „ჩაიარა გემი ბოლშევიკური დროშით სახელწოდებით „ელბრუსი“, რომელმაც კონსტანტინეპოლიდან ჩამოიტანა ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები“.

ნავიგაცია მდ. დნეპრზე

მოსკოვი 4 აპრილი. 2 აპრილს დნეპრი გაიწმინდა ყინულებისაგან 300 ვერსტის მანძილზე. ნაოსნობა უკვე დაიწყო.

დახმარება საჰაერო ფლოტს.

მოსკოვი 4 აპრილი. ხარკოვის საგუბერნიო აღმასკომმა შესწირა საჰაერო ფლოტის მოწყობის საქმეს 15000 მანეთი ოქროთი. ხარკოვის ტექნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტებმა მიიღეს შეფობა ხარკოვის გარნიზონის ნაწილებზე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

წითელ-ჯარის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ბათომი. 4 აპრილი. ბათომის გარნიზონის წითელ არმიელებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა დამთავრდა.

კონტრაბანდა.

ბათომი. 4 აპრილი. ოქროს კონტრაბანდული გზით გატანის გამო რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა სამასი ოქროს მანეთით დაჯარიმა იტალიის გემის „სპარსეთის“ კაპიტანი, ოსმალეთის საკონსულოს დიპლომატიური კურიერი კი—250 მანეთით.

ბათომის განტვირთვა.

ბათომი 4 აპრილი. ბათომის განტვირთვა ლტოლვილების მთაში სამუშაოთ გაგზავნის საშუალებით დაიწყება 5 აპრილს.

ნურის ბაზარი.

ბათომი. 4 აპრილი დამთავრდა ნურის ბაზარის დაშლა, რომელიც გადააქვთ ახალ ადგილზე.

სინაგოგა—კულტურის ტაძრათ.

ბათომი. 4 აპრილი. კომკავშირის საქალაქო კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრო 450 კაცი ამხ. იაკუბოვიჩის მოხსენების შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ ებრაელ ახალგაზრდობას სურვილი აქვს სინაგოგა კულტურის ტაძრათ გადააქციოს, გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება: „ჩვენ, მუშური ახალგაზრდობა, მოვითხოვთ მუშურ გლეხური ხელისუფლებისაგან სინაგოგების მეცნიერებისა და კულტურის ტაძრებათ გადაქცევა“.

სახალხო სასამართლო.

ხულო. 4 აპრილი მშრომელთა დიდძალი ნაწილის თანდასწრებით ხულოში გაიხსნა სახალხო სასამართლო.

ახალი გადასახადები.

ბათომი. 4 აპრილი. აჭარისტანის სახკომსაბჭომ კომერციულ ხასიათის განცხადებებზე და წარწერებზე ახალი გადასახადი დააწესა.

აზერბეიჯანი

საერთო სამოქალაქო გადასახადი

ბაქო. 4 აპრილი. საერთო სამოქალაქო გადასახადის დაჩქარებით შეკრების და იმ პირების, რომელთაც ეს გადასახადი არ შეუტანიათ, აღმოჩენის მიზნით, ფინსახკომის რწმუნებულმა წინადადება მისცა ყველა დაწესებულებებს ყველა იმ პირთ, რომლებიც რაიმე საქმისათვის მიმართავენ მათ, მოსთხოვონ გადასახადის შეტანის კვიტანციები.

ზღვის ფსკერის გაღრმავება.

ბაქო. 4 აპრილი. ახლო ხანში ბაქოს, კრასნოვოდსკის, ენზელის და გურიევის ნავთსადგურებში დაიწყება ზღვის ფსკერის გასაღრმავებელი მუშაობა ამავე დროს დაიწყება კასპიის ზღვის და ვოლგის არხის გაღრმავება.

ბრძოლა კალიასთან.

ბაქო. 4 აპრილი. ვინაიდან კალიასთან ბრძოლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, აზერბეიჯანის სახკომსაბჭომ დაადგინა დამკვრელი ხასიათი მისცეს მას. ამ მიზნით მან წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ და დაემორჩილონ კალიასთან მებრძოლ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განკარგულებებს.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის თებერვლის ანგარიში

ქვემოდ მოყვანილი ანგარიში წარმოადგენს ტფილისის კომიტეტის მუშაობის დასასრულს, ვინაიდან თებერვალში მოწვეული იყო მეოთხე პარტიული კონფერენცია, რომელმაც ახალი ტფ. კ—ტი აირჩია.

ამ კონფერენციის მნიშვნელობა ტფილისის ორგანიზაციისათვის მით უფრო დიდია, რომ ამ დროს მოხდა ქალაქისა და სამაზრო ორგანიზაციების ფაქტიური გაერთიანება. კონფერენცია საერთო იყო ე. ი საქალაქოც და სამაზროც და მასზე წარმოდგენილი იყო ქალაქი და მაზრა, 321 დელეგატის სახით. კონფერენცია საქმიანათ და ერთსულოვნათ ჩატარდა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები; 1) ტფილისის კომიტეტის ანგარიში; 2) ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგები და საქართველოს სახალხო მეურნეობის უახლოესი პერსპექტივები; 3) საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები; 4) ტფ. კომიტეტის არჩევნები.

პირველ საკითხის შესახებ კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ტფილისის კომიტეტის მიერ აღებულ პოლიტიკურ ხაზს და დამაკმაყოფილებლათ აღიარებს მის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას.

მეორე და მესამე საკითხების შესახებ კონფერენცია სავსებით შეუერთდა მომხსენებლების მიერ წამოყენებულ თეზისებს. ტფილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა მიღებული იქნა კონფერენციის მიერ ერთხმათ.

სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციის სათავეში ჩაყენებულ ახალ კომიტეტის შემადგენლობა გაფართოებულ იქნა 29 წევრამდე და 15 კანდიდატამდე. მისი შემადგენლობა, წევრთა სოციალურ მდგომარეობის მიხედვით, შემდეგია: მუშა-წევრები—17, ინტელიგენტები—12; კანდიდატთა შორის: მუშები—7, ინტელიგენტები—8; ეროვნების მიხედვით: წევრთა შორის: ქართველი—12, სომეხი—9, რუსი—6, ებრაელი—1, თურქი—1; კანდიდატთა შორის: ქართველი—3, სომეხი—6, რუსი—3, ებრაელი—1, პოლონელი—1, ოსი—1; სტაჟის მიხედვით: წევრთა შორის: 1900 წლიდან—1, 1902 წ.—2, 1903 წ.—5, 1904 წ.—2, 1905 წ—1, 1906 წ.—1. 1907 წ.—4, 1916 წ.—1, 1917 წ.—9, 1918 წ.—1, 1919 წ.—2, 1920 წ.—1; კანდიდატთა შორის: 1903 წ.—1, 1917 წ.—6, 1918 წ.—3, 1919 წ— 5, თბილისის კომიტეტის განახლების პროცენტი დაახლოებით 70 უდრის.

კონფერენციამ, რომელმაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო თვის შუა რიცხვებში, ტფ. კომიტეტის მუშაობა ორ პერიოდათ გაჰყო. კონფერენციის წინა პერიოდში თბილისის კომიტეტის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო კონფერენციის მომზადებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებისაკენ, როგორიც არის: ბიუროს არჩევნები, განყოფილების გამგეობისა და სარაიონო კომიტეტების მდივანთა შერჩევა და, აგრეთვე, თბილისის ქ-ის თბილისის სამაზრო კომიტეტთან გაერთიანების საკითხი.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში კომიტეტის მუშაობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ინტენსიური, განსაკუთრებით ორგანიზაციულ მუშაობის დარგში, რადგან ამა თუ იმ ორგანიზაციულ ზომების მიღებას კონფერენციამდე, რომელსაც საკითხის მთელი რიგი უნდა გადაეწყვიტა, აზრი არ ჰქონდა. ამიტომ ამ დარგში კომიტეტმა განსაზღვრა თავის მოქმედება სარაიონო კომიტეტების მუშაობის ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით. თბ. კომიტეტი აძლევდა მათ დირექტივებსა და პრაქტიკულ შენიშვნებს ორგანიზაციული მუშაობისათვის და აგრეთვე უჩვენა მათ მუშაობის საერთო კურსი.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში კონფერენციას არ შეეძლო ეთამაშა იმდენათ დიდმნიშვნელოვანი როლი, როგორც ორგანიზაციულ დარგში, და ამიტომ ეს მუშაობა მიმდინარეობდა თავის წესით.

(გაგრძელება იქნება).

ამხ. სარიჩევა

3 აპრილს 1923 წელს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თამბაქოს ფაბრიკის მუშა-ქალი ამხ. სარიჩევა. ამხ. სარიჩევა ირიცხებოდა პარტიის წევრად 1919 წლიდან.

მას, როგორც მუშებს შორის პატივისა და ყურადღების ღირს პიროვნებას, ყოველთვის ირჩევდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იყო წევრი ტფილისის საბჭოსი და საქართველოს კომპარტიის ძველი შემადგენლობის ტფილისის კომიტეტისა, ორგანიზატორი ქალთა შორის, იყო გაგზავნილი ამ.-კავკასიის ქალთა ყრილობაზე 5 მაისს 1922 წელს ბაქოში, იყო სხვა და სხვა კომისიების წევრი.

ქ. ტფილისის მუშა-ქალებმა სარიჩევას სახით დაჰკარგეს მუშა ქალების განთავისუფლების აქტიური დამცველი და მებრძოლი.

ეხლა, როდესაც იმსხვრევა ძველი ქვეყანა და მის ნანგრევებზე შენდება ახალი, როდესაც ჯერ კიდევ მცირე რიცხვი მუშა-ქალებისა, რომელთაც შესძლეს ძველი ოჯახის ბორკილების თავიდან მოშორება და შინაური კარ ჩაკეტილ ცხოვრების შეცვლა საზოგადოებრივ მოღვაწეობით,—ჩვენთვის განსაკუთრებით სამწუხაროა ჩვენი რიგებიდან თითეული მუშა-ქალის გამოკლება.

ს. ტ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

5 აპრილი.

ოქროს თუმნიანი	—	6.910
დოლარი	— —	890
ლირა —	— —	690
გირვანქა	—	3.875
საბჭოთა ნიშნები	—	15,85

ძვირფას ლითონის ფასები.

5 აპრილი.

ოქრო ნატეხი 96 საწინჯის მისხალი 3 მ. 40 კ. ოქრო ნატეხი 56 საწინჯის მისხალი 1 მ. 70 კ. ვერცხლი ნატეხი 84 საწინჯის 6 და 3 მე 4 დი კაპ. მანეთიანი (ვერცხლის)—40 კაპ. ვერცხლის ხურდა ფული 16 ნახ. კაპ.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

5 აპრილი.

მდგომარეობა მტკიცეა აწევის ტენდენციით. ხორბლეულობის ბაზარზე—1 ხარისხის ფქვილის ფასი უცვლელია. შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. მანუფაქტურისა და ქიმიურ საგნების ბაზარზე გაცხოველება ეტყობა ბაზარზე მრავლათ არის მასიურ მოხმარების საგნები.

სავალიუტო ბაზრის განწყობილება.

5 აპრილი.

განწყობილება ხასიათდება დიდი მოწოდებით და მცირე მოთხოვნილებით, ძლიერ დაეცა ოქროს და სხვა ვალიუტის ფასები.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ცემენტი, სპირტი, შაქარი, შაბიამანი. პლაშჩები, თუნუქი, ჯაგარი, ბარები, სკიპიდარი, შვეიცარიის და თუშური ყველი, თაფლი, ჩაი, ერბო, მარილი, რეზინის საგნები, მანუფაქტურა ქაღალდის, ბრინჯი, ქერამი, მატყლი. ბამბა, ლურსმნები, ფანჯრის მინა, ტყავის საგნები, რუსული ასანთი, ხილისა და ბოსტნეულობის კონსერვები „დელიკატესი“.

ბირჟის მოთხოვნილება.

საბზა. შაქარი. შაბიამანი. ნედლი ტყავეული. თოკი. ტექნიკური ცხიმები. ზეთი მზესუმზირისა. შპაგატი. ლურსმნები. გოგირდი. რუსეთის მანუფაქტურა. მატყლი. სიმინდი. ხორბალი. სოდა. ფქვილი. „ნელსონი“. რუსული ასანთი. ვანილი. ფქვილი „კრუპჩატკა“. ხორბლის სპირტი. მავთული № 14. ჯაგარი. ბაწარი.

ექსპორტ-იმპორტი ამიერ-კავკასიის საბაჟოში.

(1923 წ. იანვრის განმავლობაში)

წინასწარი ცნობების თანახმად, ამიერ-კავკასიის საბაჟოს საშუალებით 1923 წლ. იანვარში შეტანილია 136192 ფუთი სხვა და სხვა საქონელი და გატანილია 1863043 ფუთი. ცნობები მოდის საბაჟოსაგან.

შემოტანილ საქონლიდან პირველი ადგილი უჭირავს ბათომის საბაჟოს, რომლის საშუალებით შემოტანილია 77466 ფ. მეორე ადგილი—ბაქოს—39609 ფუთი. მესამე ადგილი—ტფილისს—6774 ფ., გატანილ საქონლის მხრივ ბათომი იძლევა—1006094 ფ. აქედან 900,000 ფ. ნავთის პროდუქტებია.

ფოთის საშუალებით გატანილია 673688 ფუთი და მხოლოდ და მხოლოდ შავი ქვა. ბაქო იძლევა 155445 ფ. აქედან 100551 ფუთი ნავთია შაქარი გატანილია სპარსეთში 4700 ფ. ბაქოდან და 6900 ფუთი ჯულფის საშუალებით.

საბჭოთა ფედერაცია ლიონის ბაზრობაზე

(საფრანგეთის პრესის ცნობა)

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო მარსელში მყოფ სავაჭრო წარმომადგენლის ამხ. კაჯარასაგან ცნობები, რომელიც მოთავსებულია საფრანგეთის პრესაში. ეს ცნობები წარმოადგენს ფრიად საინტერესო მასალას იმის გამოსარკვევად, თუ როგორ შეხვდენ დასავლეთ ევროპაში საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ გამოსვლას საერთაშორისო სავაჭრო ბაზარზე—ლიონის ბაზრობაზე. თუ დავუჯერებთ ფრანგული პრესის და არა მარტო მეგობრულად განწყობილ „იუმანიტეს“, არამედ მტრულ გაზეთების ცნობას, პირველი ჩვენი გამოსვლა მსოფლიო ეკონომიურ ფრონტზე სრული გამარჯვებით დამთავრდა. „იუმანიტე“ 8 მარტის ნომერში აღნიშნავს, რომ რუსულ განყოფილებაში ყველაფერი მზად იყო ბაზრობას გახსნისათვის. რევოლიუციამ შესცვალა რუსული ფსიქიკა, რუსები მიეჩვივენ სასტიკი წესრიგის დაცვას და იმ დროს, როდესაც ფრანგული ექსპონატები ჯერ არის ეხლა ეწყობა, საბჭოთა რესპუბლიკების ბეწვეულის განყოფილება დილის 9 საათიდანვე მზადაა.

შემდეგ „იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ცენტროკავშირის და საგარეო ვაჭრობის ექსპონატების დათვალიერების დროს ერთბაშათ ემჩნევა ის როლი, რომელიც უნდა ითამაშოს რუსეთის ეკონომიკამ მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრებაში. გაზეთის სიტყვით საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა და ცენტროკავშირმა უკვე მოაწყვეს ნედლი მასალების საწყობები რიგაში, რეველში, ნოვოროსიისკში, ლონდონში, ჰამბურგში და ნიუ-იორკში. ეს საწყობები არის ყოველგვარ საქონლით. რუსული პავილიონი წარმოადგენს ამ მხრივ „ნიმუშების მრავალგვარ სურათს“. იუმანიტე ვრცლად აღწერს რუსულ პავილიონს და ეხება კავკასიის განყოფილებას, ჩამოთვლის რა იქ მოთავსებულ ექსპონატებს: ხე, შავიქვა, აბრეშუმი, ბაქოს და გროზნის ნავთის ექსპონატები.

რუსეთის მრეწველობა

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის ვაჭრებზე. „იუმანიტეს“ სიტყვით ბეწვეულის პირველი მნახველი იყო პარიზში არსებული ბეწვეულის უდიდესი მაღაზიის მეპატრონე.

ჩვენ უკვე ვიცოდით, ამბობს გაზეთი, რომ რუსეთს დიდძალი ნედლი მასალა აქვს, მაგრამ ლიონის ბაზრობამ ჩვენ დაგვანახვა ისიც, რომ საბჭოები ახერხებენ თავის ქვეყნის ნიადაგის ნატურალურ პროდუქტების კლასიფიკაციას.

„სალიუ პუბლიკი“ ათავსებს დიდ წერილს, რომელსაც უძღვნის რუსულ განყოფილებას, გაზეთი ცოტათი უკმაყოფილოა გარეგნობით „ტყავი დაყრილია პარკეტზე, თეთრი დათვის ტყავი მოთავსებულია სტატისტიკურ ნუსხებს შორის, ხოლო მამონტის ეშვი იატაკზეა დადებულიო“. გაზეთი იტყობინება, რომ რუსული განყოფილების ორგანიზატორები ძალიან კმაყოფილნი არიან შედეგებით. ყველაზე მეტად იყიდება ცხოველების პროდუქტები.

ზოგიერთმა ფრანგმა მრეწველმა განაცხადეს, რომ ისინი აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას მოსკოვის მიწათ მოქმედების გამოფენაში 1923 წელს.

გაზ. „ინფორმასიონში“ მოთავსებულია ინტერვიუ სკობელევთან, რომელიც გამოსთქვამს იმედს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მონაწილეობა ლიონის ბაზრობაზე იქნება პრაქტიკული ნაბიჯი საფრანგეთისა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისაკენ არის ცოტაოდენი დაბრკოლებანი მაგალ. ორივე ქვეყნის შორის საბანკო ურთიერთობის უქონლობა, რომლის მნიშვნელობაც ძალიან დიდია. ლიონის ბაზრობამ ბევრი ადგილი დაუთმო რუსეთის პავილიონს.

გაზ „ლეპროგრესში“ და „ლიონ რესპუბლიკენში“ მოთავსებულია ერიოს ფოტოგრაფიული სურათი.

გაზ. „ექსიონ ფრანსეზ“-ში გადაბეჭდილია ერიოს წერილი და დეპუტატ მარსელის დეპუტატთა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ქიროს სიტყვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა განახლებულ იქნას სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან.

დასკვნისათვის შეიძლება მოვიყვანოთ გაზ. „ლიონ რესპუბლიკის“ შეფასება, რომელიც კარგათ ახასიათებს რუსულ განყოფილებას. მთელი დღის განმავლობაში მნახველები ათვალიერებდენ ნიმუშებს, რომელნიც ძალიან განსხვავდებოდენ თავისებურებათ, რაც უზრუნველყოფს რუსეთის გამარჯვებას გაზაფხულის გამოფენაზე.

ქრონიკა

სრ. საქ. ცენტ. აღ. კომ: პრეზიდიუმში.

— **მემკვიდრეობის უფლების დეკრეტის პროექტი** სრულიად საქართ ცენტრ. აღ. კომ. პრეზიდიუმმა მიიღო იუსტიციის სახ. კომისარიატის პროექტი მემკვიდრეობის უფლების დეკრეტის შესახებ. პროექტი მიღებულია ერთი მუხლის ჩამატებით: მსხვილ მიწისმფლობელობის კანონიერ მემკვიდრეთ ითვლებიან ის პირები, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან დეკრეტის მე-3 მუხლში.

— **სასამართლოს მუშაკთა და ბრალდებულთა დაპატიმრების წესის პროექტი.** პრეზიდიუმმა მიიღო იუსტიციის სახ. კომ. მიერ წარმოდგენილი პროექტი (ამხ. ვარძელის მოხსენება) სასამართლოს მუშაკთა და ბრალდებულთა დაპატიმრების წესის შესახებ.

— **ამნისტია.** პრეზიდიუმმა საქ საგანგებო კომისიის მოხსენების თანახმად, ამნისტიის გავრცელების შესახებ დაადგინა: არ გავრცელდეს ამნისტია რესპუბლიკის გაუწმენდელ მავნე პირებზე, რომლებიც შეიძლება გაძევებული იქნენ საქართველოს საზღვრებიდან.

— **„ჟოკეი კლუბის“ გახსნა.** მიწად მოქმედების კომისარის ამხ. სტუროს მოხსენების თანახმად, პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო „ჟოკეი კლუბის“ გახსნა, რომლის შემოსავალის წმინდა თანხა მოხმარდება სახ. ცხენთა მოშენების ჯიშის გაუმჯობესებას.

აგრარულ რევოლიუციის შედეგები სენაკის მაზრაში

დაწვრილებითი აღნუსხვა ჩამორთმეულ, დანაწილებულ და ფონდში დარჩენილი მიწებისა.

მიწის რაოდენობა აღნიშნულია ქცევებში.

№№ რიგზე.	თემები	კომლთა რაოდენობა.	რაოდენობა მემამულ. ჩამორთმეული მიწა	რაოდენობა [illegible]	რაოდენობა ჩამორთმეულ მიწების.	რაოდენობა დანაწილებულ მიწებისა.	[illegible]	ფონდში რჩება. ვენახები.	ფონდში რჩება. ტყეები და [illegible]
1	ძონძირ-ისულის .	272	85	200	348	340	8	—	—
2	თეკლათის . . .	2166	195	500	1392	1000	10	—	382
3	გეჯეთის . . .	368	16	42	81	73	3	—	5
4	წყემის	162	15	40	59	59	—	—	—
5	აბაშის	502	51	129	104	104	—	—	—
6	ძველი სენაკის. .	613	61	136	313	170	40	—	103
7	ეკის	595	63	135	643	247	—	—	396
8	ზემო-ჭალადიდის.	281	59	77	343	213	—	130	—
9	ქვემო- „	229	110	138	1193	508	—	685	—
10	კურზუს . . .	423	15	74	218	174	9	—	35
11	სალხინოს . . .	754	21	85	329	153	14	—	162
12	სამიქაოს . . .	614	73	150	387	332	3	12	40
13	ნაგვაზაოს. . .	413	4	18	17	16	—	—	1
14	ხუნწის . . .	672	28	89	99	83	7	—	9
15	მარტვილის. . .	1059	42	157	202	190	7	—	5
16	გაჭედილის. . .	458	12	46	91	64	3	—	24
17	ნახუნაოს . . .	541	27	99	127	124	—	—	3
18	მარნის . . .	1110	74	104	212	196	—	—	16
19	ქოლობანის . .	415	14	40	52	42	—	—	10
20	გეზათ-გულუხეთის	349	18	38	46	46	—	—	—
21	ნოსირის . . .	711	65	100	210	150	30	—	30
22	ნაესაკოვოს. . .	944	50	100	200	200	—	—	—
23	კვათანის . . .	1506	112	229	256	251	—	—	5
24	სუჯუნის . . .	1455	50	189	333	299	—	—	34
25	ჯოლო აბედათის .	766	46	162	283	240	10	—	33
26	ბანძის	1998	67	171	221	191	—	—	30
27	ლეხაინდრ.-ონოღ.	1231	43	91	111	104	—	7	—
28	სეფიეთის . . .	313	45	120	160	160	—	—	—
29	ონტოფოს . . .	415	50	100	180	180	—	—	—
30	კეთილ.-გილეიკარ.	237	70	145	304	266	—	—	38
31	ნოქალაქევის . .	604	70	140	283	260	10	—	13
32	უშაფათის . . .	370	80	120	400	300	10	—	90
33	ფოცხოს . . .	637	60	100	300	220	—	—	80
34	ლეძაძამის . . .	319	30	70	150	140	10	—	—
35	კიწიის . . .	686	60	120	400	285	15	—	100
36	თამაკონის . . .	791	35	100	300	200	20	—	80
37	ხორშის	721	—	—	2084	—	—	—	—იხ. შ.
38	ზანის	492	—	—	1078	—	—	—	„ „
39	ყულევი	168	17	72	109	107	—	—	2
	ს უ ლ . .	26.360	1.933	4.425	13.618	7.687	209	834	1.726

დაწვრილებითი ცნობები ჩამორთმეული მიწების დანაწილებისა ხორშის და ზანის თემში ჯერ ჯერობით არ არის მიღებული.

ზოგიერთ თემებში მიწის განაწილების დროს, მიწა ეძლეოდა აგრეთვე იმ მცირე მიწის მქონეთაც, რომლებიც მოდიოდნენ სხვა თემებიდან.

მაზრაში ყოფილ ფეოდალებისაგან ჩამორთმეული სახლების, წისქვილების და სამეურნეო იარაღების სია უკვე არის გამოქვეყნებული გაზეთ „კომუნისტ“-ში.

სენაკის სამაზრო მიწ.-მოქმ. განყ. გამგე ე. შალამბერიძე.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **ტყეების გამოკვლევა.** მიწად-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილებასთან არსებულმა სატყეო საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა გეგმა და პროგრამა რესპუბლიკის ტყეების გამოსაკვლევად და ასაწერად. ამ გეგმის შესასრულებლად უკვე მოხდა მომუშავე მეტყევეთა შერჩევა და გადაჯგუფება. მთელი საქართველო დაყოფილ იქნა 4 რაიონად.

სრ. რუს. სასოფლო სამეურ. გამოფენისათვის.

სესხი. 28 მარტს გამოფენის საქ. კომიტეტის ხარჯთ-აღრიცხვა 113 ოქროს მანეთი დამტკიცებული იქნა საქ. სახალხო კომისართა მიერ.

—**საქართველოს პავილიონი სრ. რუსეთის გამოფენაზე.** სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მოწყობილ იქნება საქართველოსათვის ცალკე პავილიონი რომლის სივრცე 200 კვ საჟენი იქნება. პავილიონი აშენებული იქნება გამოფენის მთავარ კომიტეტის ხელმძღვანელობით არქიტექტორების შჩუსევის და კალგინის მიერ,

— **როგორ იქნება საქართველო წარმოდგენილი.** გამოფენაზე საქართველო შემდეგ გეგმით გამოდის: წარმოდგენილი იქნება ცალკე სასოფლო-სამეურნეო რაიონებში გავრცელებული ყველა კულტურა. ხოლო სადაც აქ ასეთი კულტურა არ არის, ყველა ისეთი კულტურა,—რომელსაც აქვს ან მომავალში ექნება საექსპორტო მნიშვნელობა, შემდეგ გაიგზავნება ყველა საცდელ დაწესებულებათა მაგ., ბოტანიკურ ბაღის, ყარაიაზის საცდელ დაწესებულების, ექსპონატები. ფართო ადგილი დაეთმობა შინა-მრეწველობის განყოფილებას: აბრეშუმის მატყლის, ხის და ძვლის ნაწარმოებებს. აგრეთვე მოწყობილი იქნება გამოფენაზე ქართველთა ცალკე ტომების ყოფა-ცხოვრების განყოფილება.

ფინანსები.

ამ.-კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქართულ ფულის ნიშნების გადაცვლის ოპერაციის ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე ჩვეულებრივად იწარმოებს ორშაბათს 9—აპრილს რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, სახალხო ბანკის და მის განყოფილებებში.

ქალაქის აღმასკომში.

— **ტრამვაის ბილეთებზე ფასების მომატება** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა 1 აპრილიდან გადიდებულ იქნეს ფასი ტრამვაის ბილეთებზე 25 ათასი მანეთიდან 40 ათას მანეთამდე.

— **ვერის ბოგანი.** ამავე პრეზიდიუმის დადგენილებით წინადადება მიეცა კომუნალურ განყოფილებას შეადგინოს ვერის ბოგანის მოწყობისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა.

— **სპარსული სკოლის შესახებ.** პრეზიდიუმმა დაადგინა თბილისში არსებული სპარსული სკოლა მიღებულ იქნეს აღმასკომის განათ. განყოფილების განკარგულებაში, ხოლო აღიძრას შუამდგომლობა სახ. განათ. კომ. წინაშე, რათა აღნიშნული სასწავლებლის მასწავლებლები გადაყვანილი იქნენ სახელმწიფო მომარაგებაზე.

— **პოლიტგანათლების განყოფილება.** პოლიტგანათლების დეფიციტის დასაფარავად პრეზიდიუმმა გადასდო ყოველთვიურად 692,597,000 მანეთი. წინადადება მიეცა მცირე პრეზიდიუმს შეამციროს პოლიტ-გან. განყოფილების შტატები შესაძლებლობის ფარგლებში.

— **ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა სასარგებლოთ.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა ყოფილ კატორღელთა კავშირის მიერ 12 მარტს 1 ლ კონსერვატორიაში გამართული საღამო განთავისუფლებული იქნეს ხელო გადასახადისაგან.

— **არჩილ ჯორჯაძის ქუჩა.** [illegible] სოც.-ფედერ. პარ. მთავარი კომიტ. მომართვის თანახმად, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას არჩილ ჯორჯაძის სახელი მისი გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო.

გამომცემლობა.

— „ჩვენი სკოლა“ მესამე ნაწილი, ფერადი სურათებით გამოცემული, დღეიდან ყველგან იყიდება 70 კ. ოქროთი. ბითუმად მყიდველებმა უნდა მიმართონ განათლების კომისარიატში გიორგი კუპრეიძეს.

— „ჩვენი სკოლა“ 1 და 2 ნაწილი საჩქაროდ იბეჭდება და მოკლე დროში გასაყიდად გამოვა.

— „ყვავილი“ შრომის სკოლის მესამე გაყ. სრული კურსი, შედგენილი გ. ჰეშეშურიძისა და ი. კიკვაძის მიერ, სამეცნიერო საბჭომ მოიწონა და მოკლე დროში დაიბეჭდება.

პროფკავშირებში.

— **განათლების მუშაკთა კავშირის კულტგანათლების გამომცემლობა.** გან. მაშ. კავშირის კულტგანყოფილებამ ფართოდ დააყენა გამომცემლობის საქმე: მარტში გამოიცა ქართულ ენაზე „მათემატიკა“ ბავშვ[illegible] იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა წიგნი რუსულ ენაზე „ბავშვის ნახაზი“. განზრახულია გამოიცეს ჟურნალი, რომელიც გააშუქებს პედაგოგ მასწავლებელთა პროფესიონალურ ცხოვრებას და მოღვაწეობას.

— **ურთიერთ დახმარება.** განათლების მუშაკთა კავშირის ურთიერთ დამხმარე კასა არსებობს 1922 წლის ოქტომბრიდან. ამ ხნის განმავლობაში კასაში ირიცხება სამი ათასი წევრი. კასამ დახმარების სახით [illegible] თვის განმავლობაში გასცა 276 მილიონი მანეთი.

საშუალებაა ნაციონალისტური ნაშთების დასაძლევად; რამდენათაც ეს ნაშთები იქცევიან ადგილობრივ შოვინიზმათ, რომელიც მიმართულია ცალკე რესპუბლიკების უფრო სუსტი ეროვნული ჯგუფების წინააღმდეგ,—იმდენათ ბრძოლა მათთან შეადგენს პარტიის წევრთა მოვალეობას. ამიტომ ბრძოლა ნაციონალისტურ ნაშთებთან, და პირველ ყოვლისა ამ ნაშთების შოვინისტურ ფორმებთან, შეადგენს ჩვენი პარტიის მესამე მორიგ ამოცანას.

8) ერთი წარსულის ნაშთების ერთერთ ნათელ გამოხატულებათ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკების კავშირს საბჭოთა მოხელეების საგრძნობი ნაწილი ცენტრში და ადგილობრივ აფასებს არა როგორც თანასწორ სახელმწიფო ერთეულების კავშირს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ნაციონალურ რესპუბლიკების თავისუფალი განვითარება, არამედ როგორც ნაბიჯს ამ რესპუბლიკების სალიკვიდაციოდ და ეგრედწოდებულ „მთლიანის და განუყოფელის“ შესაქმნელათ. კიცხავს რა ასეთ გაგებას, როგორც ანტიპროლეტარულს და რეაქციონურს, ყრილობა მოუწოდებს პარტიის წევრებს ფრთხილად ადევნონ თვალყური იმას, რომ რესპუბლიკების კავშირის შექმნა და კომისარიატების გაერთიანება შოვინისტურად განწყობილმა მოხელეებმა არ გამოიყენონ მთ. მიერ ნაციონალურ რესპუბლიკების კულტურული და სამეურნეო საჭიროებებისადმი უყურადღებობის დასაფარავად. კომისარიატების გაერთიანება გამოცდაა საბჭოთა აპარატის: და რომ ამ გამოცდამ მიიღოს დიდმპყრობელური მიმართულება, პარტია იძულებული იქნებოდა მიეღო გადამჭრელი ზომები თვით ზოგიერთი კომისარიატების გაერთიანების საკითხის გადასინჯვამდი, სანამ საბჭოთა აპარატი სათანადოდ არ იქნება აღზრდილი პატარა და ჩამორჩენილი ერების საჭიროებისადმი ნამდვილ პროლეტარულად და ძმურად მოპყრობის მიხედვით.

9) რამდენათაც რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს ერების თანაცხოვრების და მათი თანამშრომლობის ახალ ფორმას ერთიან საკავშირო სახელმწიფოში, რომლის ფარგლებში ერთად მუშაობის პროცესში აღმოფხვრილი უნდა იქნეს ზემოთდასახელებული ნაშთები წარსულისა,—კავშირის უმაღლესი ორგანოები ისე უნდა მოეწყოს, რომ სრულად წარმოადგენდეს კავშირის ყველა ერების არა მარტო საერთო საჭიროებათა და მოთხოვნილებებს, არამედ ცალკე ერების სპეციალურ საჭიროებათა და მოთხოვნილებებსაც. ამიტომ, კავშირის არსებულ ცენტრალურ ორგანოებთან ერთად, რომელიც არის მთელი კავშირის მშრომელი მასების წარმომადგენლობა, განურჩევლად ეროვნების, უნდა შეიქნეს თანასწორობის საფუძველზე—ერების წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო. ცენტრალური ორგანოების ასეთი მოწყობა სრულ შესაძლებლობას მოგვცემს ფხიზლად ადევნოთ ყური ერების მოთხოვნილებებს და საჭიროებათ, თავის დროზე აღმოუჩინოთ მათ საჭირო დახმარება, შევქმნათ სრული ურთიერთისადმი ნდობის პირობები და ამ რიგათ უმტკივნეულო გზით მოვსპოთ ზემოთ ხსენებული მემკვიდრეობა.

10) გამოდის რა ზემოთნათქვამიდან, ყრილობა ურჩევს პარტიის წევრებს პრაქტიკულ ზომების სახით მიაღწიონ, რომ:

ა) კავშირის უმაღლეს ორგანოების სისტემაში მოეწყოს ყველა ნაციონალური რესპუბლიკების და ნაციონალური ოლქების წარმომადგენლობის ორგანო თანასწორობის საფუძველზე;

ბ) კავშირის კომისარიატები მოეწყოს ისეთ საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს კავშირის ერების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

გ) ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების ორგანოებს ხელმძღვანელობდენ უმთავრესად ადგილობრივი ელემენტები, რომლებმაც იციან სათანადო ერების ენა და ზნე-ჩვეულებანი.

II.

1) ჩვენი პარტიის ორგანიზაციის განვითარება ნაციონალური რესპუბლიკების უმრავლესობაში მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომლებიც ნაკლებათ უწყობენ ხელს მის ზრდას და განვითარებას.

ამ რესპუბლიკების ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ, ნაციონალური პროლეტარიატის მცირერიცხოვანობამ, ადგილობრივი ელემენტებიდან ძველი, გამოცდილი პარტიული მუშაკების კადრის სიმცირემ ან სრულიად არ ყოლამ, მშობლიურ ენაზე სერიოზული მარქსისტული ლიტერატურის უქონლობამ, პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტემ, და ბოლოს, რადიკალურ ნაციონალისტური ტრადიციების ნაშთების არსებობამ, რომლებიც ჯერ კიდევ არ მომსპარან,—ადგილობრივ კომუნისტებში გამოიწვია გარკვეული გადახრა ნაციონალურ თავისებურობის გადაფასებისაკენ და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სათანადოდ დაფასებისაკენ, გადახრა ნაციონალიზმისაკენ.

ეს მოვლენა საშიში ხდება განსაკუთრებით რამდენიმე ეროვნიან რესპუბლიკებში, სადაც ის ხშირად იღებს უფრო ძლიერი ეროვნების კომუნისტებში შოვინიზმისაკენ გადახრის ფორმას, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია სუსტი ერების კომუნისტების წინააღმდეგ. (საქართველო, აზერბეიჯანი, ბუხარა, ხორეზმი). ნაციონალიზმისაკენ გადახრა საშიშია იმ მხრივაც, რომ ის აფერხებს რა ნაციონალური პროლეტარიატის ნაციონალური ბურჟუაზიის გავლენისაგან განთავისუფლების პროცესს, აძნელებს ცალკე ერების პროლეტარიატის შეკავშირებას ერთიან ინტერნაციონალურ ორგანიზაციაში.

2) მეორეს მხრივ, პარტიის ცენტრალურ ორგანოებში და აგრეთვე ნაციონალური რესპუბლიკების კომუნისტური პარტიებში რუსი ეროვნების ძველი პარტიული მუშაკების მრავალრიცხოვანი კადრების არსებობა, რომლებიც არ იცნობენ ამ რესპუბლიკების მშრომელი ერების ზნე-ჩვეულებებს და ენას, და ამიტომ სათანადო სიფრთხილით ვერ ეპყრობიან მათ საჭიროებებს,—გამოიწვია ჩვენს პარტიაში გადახრა ნაციონალური ენისა და თავისებურობის სათანადოთ არ დაფასებისაკენ პარტიულ მუშაობაში, ამაყი და ამპარტავნული მოპყრობა ამ თავისებურებისადმი, გადახრა ველიკოროსულ შოვინიზმისაკენ.

ეს გადახრა საშიშია არა მარტო იმიტომ, რომ ის აფერხებს რა ადგილობრივ, ნაციონალური ენის მცოდნე პირებიდან კომუნისტურ კადრების შექმნის საქმეს და ქმნის რა პარტიის ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელი მასებისაგან ჩამოშორების საშიშროებას, არამედ, პირველ ყოვლისა იმიტომაც, რომ ის კვებავს და ზრდის ზემოთ დახატულ გადახრას ნაციონალიზმისაკენ და აძნელებს მასთან ბრძოლას.

3) კიცხავს რა ამ ორგვარ გადახრას, რომელიც მავნე და საშიშია კომუნიზმისათვის და აპყრობს რა პარტიის წევრების ყურადღებას ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრის განსაკუთრებულ მავნეობასა და საშიშროებას, ყრილობა მოუწოდებს პარტიას ჩვენს პარტიულ მშენებლობაში ამ ნაშთების დაჩქარებით ლიკვიდაციისაკენ.

პრაქტიკულ ზომების სახით ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს გაატაროს;

ა) უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრეების მოწყობა ნაციონალური რესპუბლიკების ადგილობრივ პარტიულ მუშაკებიდან;

ბ) პრინციპიალური მარქსისტული ლიტერატურის განვითარება მშობლიურ ენაზე;

გ) გაძლიერება აღმოსავლეთის ერების უნივერსიტეტისა და მისი განყოფილებების ადგილებზე;

დ) ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ადგილობრივ მუშაკებიდან ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნა;

ე) მშობლიურ ენაზე მასიურ პარტიულ ლიტერატურის განვითარება;

ვ) რესპუბლიკებში პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება;

ზ) რესპუბლიკების ახალგაზრდობაში მუშაობის გაძლიერება.

მუშათა ცხოვრება

სადარაჯოდან

(წერილი სატრფოს)

შენს ლამაზ თვალებს შორით ვუმზერ ისე სათუთად,
როგორც თვითონ ხარ სათუთი და ნაზი, აზიზი,
შენი ღიმილი საკმაოა ჩემთვის საზრდოდ,
რომ სიყვარულის ლექსი გიძღვნა წმინდა, ფაქიზი.

მე დღესასწაულს სიხარულით მისთვის მოველი,
რომ ნეტარების სამოსელში ღრმად გავეხვიო,
რომ შენს კალთაში დავივიწყო ქვეყნად ყოველი
და გამარჯვების მოლოცვებით გადაგეხვიო.

შენთან ალერსი თუმცა მწყურიან ასე ძალიან,
წელიწადებად მიმაჩნია აქ ერთი წუთი,
მიწვევ: „მოდი!" მაგრამ, ტურფავ, არა მცალიან,
მოვალეობის ტვირთი მაწევს ათასი ფუთი!

ამხანაგებთან მტკიცედ ვდგევარ სადარაჯოზე,
მტერი მოიწევს ასაოხრად და ასაკლებად,
ერთი-მეორეს ადგილს ვუცვლით თავ-თავის დროზე,
მზად ვართ ხალხისთვის აღვიმართოთ ბარიკადებად.

ჩაქუჩის ცემით დავიღალე, გახურდა გრდემლი,
„წითელი კვერცხი" აქ დავიკარ მაგრად, კირკიტად.
მაშინ მითხარი: „ქრისტე აღსდგა," როს ჩაგრულთა ცრემლი
გადაიქცევა შრომის ჭირხლად და მარგალიტად!

მანამ კი ეშხით, აელვარე მწველი თვალები,
სატრფოს გიტარზე ააყოლე თლილი თითები.
დეე, გვეკიდოს მოლოდინის ცეცხლის ალები,
ოღონდ დავხიოთ მტრის დამპალი ძველი ჩითები!

გიგო ხეჩუაშვილი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: ვინ უნდა გადაიხადოს საქართველოს ცაკის და ამიერ-კავკ. ფედ. რეს. კომისართა საბჭოს დადგენილების № 51 თანახმად, ერთდროული სამოქალაქო გადასახადი?

პასუხი: აღნიშნულ გადასახადს იხდის ყველა მოქალაქე,—18 წლიდან 60 წლამდე.

კითხვა: რომელი სატარიფო ხარისხის მუშა-მოსამსახურეები არიან სრულებით თავისუფალი ხსენებულ გადასახადისაგან?

პასუხი: სამოქალაქო გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულ არიან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც იღებენ გასამრჯელოს 17 ხარისხიან სატარიფო ქსელით და მეცხრე ხარისხზე არა ზევით და თუ კი თვიური გასამრჯელოს ჯამი 1—9 ხარისხამდე არ აღემატება რვა მილიონ მანეთს.

კითხვა: რამდენს იხდიან დანარჩენი მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც იღებენ გასამრჯელოს იმავე 17 ხარისხოვან ქსელით?

პასუხი: იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომელნიც იღებენ გასამრჯელოს 9 ხარისხზე ზევით 17 ხარისხთან. ქსელის მიხედვით, იხდიან სამოქალაქო გადასახადს 100,000 მანეთის რაოდენობით.

კითხვა: რამდენს იხდიან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც გასამრჯელოს იღებენ პერსონალური განაკვეთით?

პასუხი: აღნიშნული მუშა მოსამსახურენი იხდიან 800.000 მანეთს.

კითხვა: ვინ არის ინვალიდებ შორის სრულიად განთავისუფლებული სამოქალაქო გადასახადისაგან?

პასუხი: სრულიად განთავისუფლებული არიან მხოლოდ იმისთანა ინვალიდები, რომელთაც სავსებით დაჰკარგეს შრომის უნარი და იმყოფებიან სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის, დამზღვევ კასის ან და კერძო პირთა და ორგანიზაციათა განკარგულებაში.

კითხვა: რა რაოდენობით იხდიან სამოქალაქო გადასახადს ლიტერატორები, მსახიობები და სხვა მსგავსი დარგის მუშაკნი?

პასუხი: თუ აღნიშნული პირნი იღებენ გასამრჯელოს არა 17 ხარისხიან ქსელით, მაშინ ისინი იხდიან ერთდროულად 800,000 მან.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

მუშკოპის დუქანი № 9.

აღნიშნულ დუქანში მუშაობს ექვსი კაცი, რომელთაგან ერთი მცირეწლოვანია, 4 ნოქარი, 1 გამგე და ერთიც მოლარე. ხელფასს ყველანი შედარებით სხვა სავაჭროებში მომუშავეებთან ნაკლებს ღებულობენ. ნოქრის ჯამაგირი აქ მე-6 კატეგორიას არ აღემატება, მუშაობით კი ნოქრები 10-11 საათს მუშაობენ ყოველდღიურად. მუშების კატეგორიებად დაყოფა აქ სამართლიანად ვერ არის შესრულებული. მაგალითად, ამხ. გვალია რომელსაც 13 წლის სტაჟი აქვს, საქმის დახელოვნებული მცოდნეა და ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მუშაით მუშად, ღებულობს მე-5 კატეგორიით.

ერთი თვის წინად ამხ. გვალია სრულიად უსაფუძვლოდ ჩამოაქვეითეს 6 ხარისხიდან 5 მდე, რითი ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომ ამ უსამართლობას სჩადიოდა, ეს აქაური მუშებისთვის სრულებით გაუგებარია. ასეთივე ბედი ეწია ამხ. კეკნაძის ქალს, რომელიც წინედ მე-7 ხარისხ. მიხედვით იღებდა ხელფასს. დღეს კი ის მე 6 ხარისხზე ჩამოიყვანეს.

ადგილკომი მუშების კანონიერ საჩივარს სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს და ამ მხრივ ძალიან სუსტად მუშაობს. შრომის ინსპექტორისათვის შეუმჩნეველი რჩება აქ გამეფებული უკანონობა, ყველა მუშა-მოსამსახურეს გამოუკლებლივ აქ უხდება დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე გამუდმებული მუშაობა. ამისთვის ისინი არა თუ ზედმეტ ქირას, არამედ 8 საათის განსაზღვრულ ხელფასსაც ვერ ღებულობენ დაუკლებლად.

ასეთივე უსამართლობა სჭირს მოლარე ქალს, ამხ. ბაგრამოვას. 6 საათის ნაცვლად, ის 10-11 საათს მუშაობს.

გარდა ამისა აქ აგრეთვე ხშირია მაგალითი, როცა გამგეობა რომელიმე მუშას სრულიად დაუკითხავად და ბრალდების წამოუყენებლად ქალაქის ერთი ადგილიდან მეორე ალაგს გადაისვრის. ეს გარემოებაც სამწუხაროთ შეუმჩნეველი რჩება შრომის დაცვის ორგანოების მიერ.

აუცილებლად საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს, ვინაიდგანაც ჯერ არს, სათანადო ყურადღება და იქნას მიღებული ზომებიც მათ სალიკვიდაციოდ.

ინფორ. კორ. უცხო.

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

მე-3-ე უბნის შრომის ინსპექტორის მიერ შეყენებულია ოქმები და პასუხისგებაში მიცემულ არიან შემდეგი შრომის დაცვის კანონების დამრღვევი ობობა-ვაჭრები:

გიორგი ალექსანდრეს ძე მუხრანსკი, სამზარეულო-სასადილოს პატრონი; ამუშავებდა სამზარეულოში და სასადილოში 4 ქალს და ერთ მცირეწლოვან ვაჟს დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე, აძლევდა მათ სრულიად მცირე ხელფასს; მუშა-მოსამსახურენი მოკლებულნი იყვნენ საკვირაო დასასვენებელ თავისუფალ დროს მათ არ ჰქონდათ საანგარიშო წიგნაკები. სამსახურში მიღებული არიან შრომის ბირჟის გარეშე მუხრანსკის პირადი მოწვევით. მუხრანსკის მუშების დასაზღვევად დამზღვევ კასაში ფული არ შეჰქონდა და სხვა...

სარქის ქამალოვი, სამხვე ქარხნის პატრონი—ამუშავებდა 16 წლის ყმაწვილს დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ჯამაგირს არ აძლევდა. ორი მუშა ბირჟის გარეშე არის მიღებული და თითქოს ქარხნის პატრონ ქამალოვთან ამხანაგად არიან შესული, რის დამამტკიცებელი საბუთი მათ არ მოეპოვებათ. მუშებს საანგარიშო წიგნები არ ჰქონდათ დარიგებული, მეძებვე ვაჭარს მუშების დასაზღვევი ფული არ შეჰქონდა დამზღვევ კასაში.

ისაი მირზოევის ძე მარტიროსოვი, მექანიკური სახელოსნოს პატრონი, ამუშავებდა 3 მუშას, რომელთაგან ერთი მცირეწლოვანია, 2 მუშა ხელფასს არ ღებულობდა. ყველა მუშები მიღებული არიან ბირჟის გარეშე. საანგარიშო წიგნები არ აღმოაჩნდა არც ერთს. მასთან მათ „ხაზეინს" დამზღვევ კასაში სისტემატიურად არ შეჰქონდა მუშების დასაზღვევი ფული.

სოფ. შხეფი (სენაკის მაზრა თეკლათის თემი)

თეატრები თემებსა და სოფლებში არც ნიკოლოზის და არც მენშევიკების ხანაში არ იხსნებოდა და იშვიათი მოვლენა იყო, თუ რომელიმე ქალაქიდან მსახიობი ან და მოხალისეები დადგამდენ წარმოდგენებს სკოლებში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მისცა საშუალება ხელოვნებას პროვინციის თემებში შეჭრისა. თითქმის ყოველ კვირა ადგილობრივ ძალებისაგან იმართება ეხლა წარმოდგენა სოფლად შენობების მხრივ სათეატრო დარბაზების უქონლობის გამო დიდ ნაკლს განიცდიდა სენაკის მაზრა. სკოლები მენშევიკების დროს თითქმის დაინგრა, ისინი სკოლების შეკეთებაზე არ ზრუნავდნენ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეაკეთა სკოლები და სწავლა-განათლება დააყენა სათანადო დონეზე. საბჭოთა ხელისუფლებამ სათემო სათეატრო დარბაზებიც გამონახა. ეს ხალხის მიერ გაშენებული—ყოფილი ეკლესიებია. მთელ მაზრაში გაუქმებულია ეკლესიები, მღვდლებიც განდევნილია. აი, ამ ეკლესიებში აწყობენ სასცენო დარბაზებს მთელ მაზრაში. სოფელ შხეფმა დიდი ზეიმით გახსნა თავისი პირველი საბჭოთა თეატრი ანხ. მიხა ცხაკაიას სახელობაზე ყოფილ ეკლესიაში. სცენა საუცხოვოდ მოუწყვიათ, დიდი დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. არიან მოხუცებულნიც, რომელნიც განცვიფრებაში მოდიან, როდესაც ასეთ სასწაულს ხედავენ. სად არის ხატები, ჯვრები, კერპები, ღმერთები!. საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტურმა პარტიამ დაამსხვრია ცრუმორწმუნეობა.

მიტინგი გახსნა თეკლათის თემის აღ. თ—რემ ამხ. ვალ. ბერაიამ. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს. რელიგიის შესახებ მოხსენება გააკეთა სამაზრო პარტ. წარმომ. ამხ. ვ. შალამბერიძემ, რომელმაც ფართედ აუხსნა კრებას რელიგიის მატყუარა სამღვდელოების როლი. მომხსენებელი დააჯილდოვეს ტაშით. ამხ. ბერაიამ გამოაცხადა, რომ თეატრი იხსნება ანხ მიხა ცხაკაიას სახელობაზე. იგრიალა ხალხის ხმამ: გაუმარჯოს ამხ მიხა ცხაკაიას! მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. შემდეგ გამართულ იქნა წარმოდგენა, რომელიც კარგად ჩატარდა. მადლობის ღირსია თეატრის მომწყობი ამხანაგები ნიკო ადამია და კოს ცავა.

გ. ვარსკვლავი.

წითელი ჯვრის საზოგადოებაში.

— **დელეგატის არჩევა.** საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა შევიდეს საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრის საზოგადოებათა გაერთიანებაში და ამ გაერთიანების მოსაწყობ კონფერენციაზე, რომელიც შესდგება ა. წ. 25 მაისს მოსკოვში გაიგზავნოს ცენ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ ილ. მამულია.

მატარებლების გადაცემა. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ის სანიტარული და აბანო მატარებლები, რომელიც ეკუთნოდა წითელი ჯვრის საზოგადოებას ისევ გადაეცეს მას წ. ჯ. ს. მატარებლების ჩასაბარებლად უკვე გაგზავნა კომისია რკინის გზაზე.

ხმა და ხმა.

— **ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოება.** დღეს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში (რუსთაველის პროსპ № 24 მესამე სართული) შესდგება უდინთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის სხდომა. პრეზიდიუმი სთხოვს გამგეობის ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ ამ სხდომას.—

შემთხვევები.

— **ქურდობა სახელმწიფო უნივერსიტეტში.** ბოროტმოქმედს შეჩეული გასაღებით გაუღია საპროფესორო დარბაზი და ფიზიკური აუდიტორია, საიდანაც წაუღია 16 არმატურა. ძიება სწარმოებს.

— **კერძო პირთა გაქურდვა** 1) ელისაბედის ქ. № 39. გაქურდეს მოქ. შაპოვალოვის ბინა, საიდანაც წაიღეს ნივთები 50 მილ. მან.

2) პოლიციის ქ 21 გაქურდეს მოქ. არტემ ომიაძის ბინა. წაიღეს ნივთები 50 მილ. მან. ღირებული.

3) მადათოვის ქ სასტუმრო „გრანდ-ოტელ"ში მოქ ბენიამინ სარაჯიანცის ბინიდან მოიპარეს ოქროს საათი და ოქროს კოვზები, 200 მილ. ღირებული.

4) გატეხეს მოქ. იოსებ გეგუცაძის სასადილო „კახი"-ს კარების კლიტე და წაიღეს ნივთეულობა 100 მილ. ღირებული.

5) ნურუფაროვის ბაზარში ჰაკა კაზარიანცის ტანისამოსის სავაჭროდან ბოროტმოქმედებს სისტემატიურად უზიდნიათ საქონელი რამოდენიმე ას მილიონად ღირებული. შეპყრობილნი არიან მიხეილ ფარეშოვი, არტაშ ოგაროვი და ერვანდა დალტაშიანცი, რომელნიც ქურდობაში გამოტყდენ.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი
სამშაბათი, 3 აპრილი.
ოპერეტა „ნატვრის თვალი"
რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

ამ ბოლო დროს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი თითქმის გატეხილი გობის წინ გვაყენებს: ხავს მიდებულ პიესებით („მზის დაბნელება" და „ნატვრის თვალი") წარმოდგენებით რჩება მხოლოდ მოსიარულე ცირკის სანახაობა და ჩაცურული სცენების მოსაწყენი ჟრიამული, რადგან თვით პიესები არ იძლევიან მეტის შესაძლებლობას და ზედმეტი „ბუნებრიობა" სადავე მოშვებულ ინტერესს იწვევს. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აგრეთვე პატივცემულ რეჟისორს, რომ ყოველ წარმოდგენაში მსახიობები ყოველთვის ვერცხლის წყალივით მოძრაობდენ, რაც ხშირად როლის ბურებას კლავს და ამსრულებელს აყენებს ჯამბაზის მდგომარეობაში.

სამშაბათის წარმოდგენა ე. წ ოპერეტა „ნატვრის თვალის" ამ მხარეთა გარეშეც, აუტანელი იყო. თვით პიესა მოკლებულია ყოველგვარ ღირსებას სცენისათვის, რომლის წარმოდგენა უხეირო შარჟს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ და პულსიან ოპერეტას, „არშინ-მალა-ლანთან" „შედარებითაც" კი.

მონაწილეთა საკაფეშანტანო მანერები, კარიკატურული გრიმები, მომაბეზრებელი „ტაქტიკა" სიარული და მხოლოდ, მაყურებელთა გასაცინებლად „უკნაური" პლასტიურობა ნაძალადევ ღიმილს იწვევდენ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდენ მსახიობების „შესაძლებლობას" აგრეთვე სრულებით ზედმეტი იყო თანამედროვეობას დაშორებულ „ამბავში" ენა „მახკილობისათვის" „ვაი-უი"-ში გამოსადეგი სიტყვების (მეფისო, ამიერ-კავკასიის ბონები და სხ.) ჩართვა.

ჩემი გულწრფელი სურვილია მარჯანიშვილმა თავისი ნიჭი მოახმაროს მეტ ხარისხიან პიესების დადგმას რაც ქართულ თეატრს კიდევ უფრო წინ წასწევს და მის ავტორიტეტსაც განამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი „ოპერეტების" წარმოდგენა აკადემიურ თეატრში, სიწითლის მომგვრელი იქნება მხოლოდ.

რ. გ.

— **ახალი პიესა.** შალვა გომართელმა გადასთარგმნა ვინიჩენკოს რევოლიუციონური დრამა 3 მოქ. „მოღალატე" ანუ „ცოდვა", რომელიც პირველათ წარმოდგენილ იქნება სახალხო სახლში უახლოეს ხანში.

— დღეს სახალხო სახლში პოლიტიკურ განათლ. მთავარ სამმართველ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ამ სეზონში ნ. გერგელის პიესა „გზაჯვარედინზე" 4 მოქ.

პროვინციაში

ქალ. ხაშური

31 მარტს ხაშურის მუშათა კლუბში მოწვეული იყო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრებას დაესწრნენ ყველა დარგის მოსამსახურეები. დღიურ წესრიგში იდგა სამი საკითხი:

1. მენშევიკური პარტიის გახრწნა და მისი მიზეზები.

2. უმუშევარ ახალგაზრდობის კვირეულის შესახებ.

პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ბოკერიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მენშევიკები მოღალატენი არიან მუშათა კლასის. ბურჟუაზიის აგენტები და იბრძვიან პროლეტარიატის ბატონობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში არ ერიდებიან არაფერს, ბანდიტებთან კავშირსა და ბანდიტურ მოქმედებებსაც კი. ისინი ყაჩაღთა ბრბოდ გადაიქცენ ეს ბოლო დროს შეიგნეს იმ მუშებმა და გლეხებმაც, რომელნიც შეუგნებლობით წინედ მათ მიყვებოდნენ და ეს მუშები და გლეხები ისევ უბრუნდებიან რევოლიუციონურ მშრომელთა რიგებს, და ამგვარად იშლება და იხრწნება მენშევიკური პარტია.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც დაგმობილია მენშევიკური პარტია. ამასთან მუშა მოსამსახურენი აღიარებენ, რომ მუშათა კლასის ინტერესების ერთად ერთი დამცველი არის კომუნისტური პარტია.

მეორე საკითხის შესახებ მოკლეთ მოხსენება გააკეთა ამხ. აბრამაშვილმა, რომელმაც კრებას გააცნო უმუშევარ ახალგაზრდობის მძიმე პირობები და ჩვენი მოვალეობა მათ წინაშე.

— კრებამ დაადგინა: გადასდოს უმუშევარ ახალგაზრდობის სასარგებლოდ ნახევარი დღის ჯამაგირი.

ხაშურელი მუშა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 42.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

„31" მარტი, 1923 წ.

გაურცელდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიალურ და სატრანსპორტო დამზღვევ კასებზე—რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალურ დაზღვევის დარგში გამოცემული შემდეგი დადგენილება.

1. წითელ ლაშქარსა და ფლოტში გაწვეულ დაზღვეულთა ოჯახებისათვის დამატებითი დახმარების შესახებ.

1) დაზღვეულის,—წითელ ლაშქარსა და ფლოტში გაწვევის დღიდან—ერთი თვის განმავლობაში, ოჯახს დაეტოვოს უფლება შრომის კანონთა კოდექსის 183 და 184 მუხ. მუხ. გათვალისწინებულ და დამატებით დახმარებაზე, ამასთანავე კვებისათვის დახმარება გაიცემა კანონით დაწესებულ 9 თვის განმავლობაში—დღიდან მშობიარობისა.

2) 1 მუხ. აღნიშნული დამატებითი დახმარებანი მიეცემა იმ დამზღ. კასის მიერ. რომლის წევრათ შესდგებოდა წითელ ლაშქარსა და ფლოტში გაწვეული ან-და რომლიდანაც ის გაწვევამდე ღებულობდა დახმარებას უმუშევრობის გამო.

3) 1 მუხ. აღნიშნული დამატებითი დახმარებანი გაიცემა ფონდი „ა"-ს ან და „გ"-ს საშუალებიდან იმის და დამოკიდებით, მუშაობდა თუ არა დაზღვეული გაწვევამდე წარმოებაში, (დაწესებულება, მეურნეობაში). ან-და ედგებოდა თუ არა უმუშევრათ შრომის ბირჟაში.

1. ბავშვის საკვებათ დამატებითი დახმარების გაცემის შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 183 მუხ თანახმად, დამატებითი დახმარება ბავშვთა კვებისათვის მიეცემა დაზღვეულს ან მის ცოლს იმის-და მიუხედავად აწოვებს თუ არა დედა ბავშვს ძუძუს. დახმარება გაიცემა ყოველ-თვიურად ისეთ სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ, რომლებიც ამოწმებენ, რომ ბავშვი ცოცხალია.

3. მუშა მოსამსახურეთადმი წარვლინებისა და გადასვლისათვის მიცემულ ფულიდან დაზღვევის ანარიცხთა გადაუხდელობის შესახებ.

იმ თანხიდან, რომელიც ეძლევა მუშა-მოსამსახურეებს შვებულების უსარგებლობის გამო კომპენსაციის სახით, წარვლინებისას—დღიურები, და აგრეთვე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისათვის გაცემულ ფულიდან დაზღვევის ანარიცხები არ უნდა იქნეს გადახდილი.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე—ბახუტოვი.
მდივანი—მარტინოვი.

დადგენილება № 12.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოს ამა წლის 30 მარტის დადგენილება № 10-ის განსავითარებლად. ა/კ. შრომის სახ. კომ. საქ რწმუნებულის სამმართველო აცხადებს, რომ მარტის თვეში პასუხისმგებელ მუშაკთა ტარიფი დაწესებულია—სატარიფო ქსელის 1-ლ ხარისხისათვის—7.020.000 მანეთის ანგარიშის მიხედვით, რაც შეადგენს თებერვლის განაკვეთის 1 ხარისხისათვის—600.000 მ.ნ. გადიდებულს 17 პროც.-ით.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მაგიერ საქართველოში—ა. მიქაძე.
საერთო-საორგან. გან. გამგე—ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შაბათს, 7 აპრილს დღის 11 საათზე იწვევს პირველი მაისის დღესასწაულის გამტარებელი კომისიის თათბირს.

მოწვეულნი არიან კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქართული დივიზიის, პროფკავშირთა საბჭოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების განყოფილების, საკომენდანტოს. ტფილისის აღმასკომის განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები და რაიონული საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ესსენი.

ს. კ. პ. ც. კ. საგიტ. საპრ. გან.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი აცხადებს, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბში (მუშათა სასახლეში) 2 აპრილიდან დაიწყება მთელ რიგ ლექციების კითხვა მსოფლიო-წარმოშობის და ანატომიის შესახებ.

ლექციები მსოფლიოს წარმოშობის შესახებ წაკითხული იქნება ორშაბათობით კლუბის დიდ ან პატარა დარბაზში საღამოს 8 საათზე. ლექციები ანატომიიდან—ხუთშაბათობით კლუბის დიდ დარბაზში საღამოს 8 საათზე.

პოლიტიკური და მარქსისტული წრეების ყველა მსმენელები ვალდებული არიან დაესწრონ ამ ლექციებზე. შესვლა უფასოა ყველასათვის.

მე-4-ე რაიონის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: არუსტანოვი.

პროფესიონალური

— პარასკევს, 6 აპრილს, საღამოს 5 საათზე საუბარი ტექნიკურ თანამშრომლებთან „მსოფლიოს წარმოშობის" შესახებ (რუსულ ენაზე).

სახლის გამგე შიუკაშვილი-კალიუჟნაია.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული მეუღლე: იუსტინე ანტონის ასული, შვილები: დავით, თინა, ელენე, ვასილი, სიძე: იონა ვეკელი (მეგრელიძე) აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ

სამსონ ექვთიმეს ძე მურვანიძეს

გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება შაბათს, 7 აპრილს 4 საათზე. გამოსვენება პეტრე დიდის ქ. № 18 ვერის (ნიკოლოზის სასაფლაოზე)

კრ 2—1

ღრმად დამწუხრებულნი ქვრივი ოლღა—რძალი ქვრივი ვერა თავის შვილებით ქალიშვილი ალექსანდრა და სიძე იონა გიგაჭკორი, ძმის შვილები ივლიან და ევგენი თოფურიები გაუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ძვირფას

ალექსი მიხეილის ძე თოფურიასი

რომლის დაკრძალვის დღე არის დანიშნული 7 აპრილი. ქ. ფოთი, თავის საკუთარ სახლიდან.

№ 504 1—1

უმოწყალოდ დამწუხრებულნი ქმარი ივანე ლევანის ძე ნინიძე, ძმა ალექსი ნიკოლოზის ძე ამილახვარი ოჯახობით, და [illegible] ნიკოლოზის ასული ქმარი ივანე გრიგორის ძე ჯავახოვით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი

ანნა ნიკოლოზის ასული ნინიძის

უდროვოთ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. ბინა ბარიატინის ქუჩა № 3 ცხედრის გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიაში 7 აპრილს (შაბათს) 11 საათზე დაკრძალვა იმავე დღეს ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 496 1—1

საქართველოს ტექნიკური სააღმშენებლო ბიურო
სატსამბო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8
ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო", განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში,
უმთავარი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტექნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტექნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—17

სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა

„მწყემსის"

გამგეობა ამით აცხადებს, რომ რწმუნება, მიცემული 1921 წ. 28 ოქტომბერს რეესტრის № 2344 მოქ. შალვა ალექსანდრეს ძე ქარუმიძისადმი გაუქმებულია.

№ 407 1—1 „მწყემსის" გამგეობა.

კურორტთა მთავარი

სამმართველო

კურორტთა მთავარი სამმართველო ამით აცნობებს ყველა ორგანიზაციებს და სახელმწიფო დაწესებულებებს, რომ შუა და ქვე აბასთუმანში კურორტთა სამმართველოს აქვს რამოდენიმე თავისუფალი აგარაკი, რომელიც მოითხოვს შეკეთებას (ზოგი დიდს). აღნიშნული აგარაკები შეიძლება გაიცეს იჯარით, საჭირო რემონტის მოხდენის პირობით.

ორგანიზაციები და სახელმწ. დაწესებულებები ვალდებულნი არიან განაცხადონ სურვილი აგარაკების იჯარით აღებისა კურორტთა მთავარ სამმართველოში (ტფილისი საპიორის ქ. 30) არა უგვიანეს ა. წ. 15 აპრილისა, რის შემდეგაც აგარაკები გაცემულ იქნება კერძო პირებზედ იჯარით, სხვა დანარჩენ თანასწორ პირობებთან უპირატესობა მიეცემა ყოფილ მესაკუთრეთ. (კრ. 300 3—2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—1)

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. მეჰრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23 (264—25—25)

ჭიათურის უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს პავლე და მიხეილ კირიაკის ძე პავლიდებს, რათა ისინი გამოცხადდენ მასთან, ქ ჭიათურაში, სასამართლოს დარბაზში, დღიდან ამის გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში, საქმეზე ძიებისა გამო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოებისა—მათთან. პავლიდებთან სახლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება გამოტანილი დაუსწრებელი განაჩენი.

№ 498 1—1 სახალხო მოსამართლე გ. წერეთელი.

დაიკარგა უვადო საპასპორტო წიგნაკი № 986 გიორგი სტოიანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 493 1—1

დაიკარგა სოფო სოლომონის ასული არზრუმანოვის სახელზე გაცემული [illegible] № 129 მანდატი. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 502

დაიკარგა პეტრე ტიმოთეს ძე კოვალიოვის სახელზე [illegible] მიერ გაცემული [illegible]. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 503

დაიკარგა ანა [illegible] სახელზე [illegible] 1—1

1 მაისს 1923 წ. **სახელმწიფო მომგებიანი ოქროს სესხის 1-ლი ტირაჟი** 1 მაისს 1923 წ.
დაიჩქარეთ სესხის ობლიგაციების შეძენა 1-ლი მაისისათვის.
პირველი ტირაჟი იძლევა განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს სესხ ს ობლიგაციების მქონე პირთათვის.
ამ ტირაჟში მთელი მოგებათა ჯამი 800.000 მანეთი ოქროთი და მთელი მოგებათა რაოდენობა 13169, გათამაშდება სესხის არა უმეტეს 10 სერიათა შორის, არამედ მხოლოდ—იმ სერიათა შორის, რომელთაც რეალიზაცია ექნებათ 1 მაისისთვის. ეს აძლიერებს მოგების შანსს 2—3 ჯერ. 1 მაისს მოიგებ ობლიგაციის [illegible] კიდევ შეჰყვება ტირაჟებში—1 სექტემბერს 1923 წ., 1 იანვარს 1924 წ., 1 ივლისს 1924 წ. და შემდეგ აგ. (ორჯერ წელიწადში).
თითეულ გათამაშებაში შევა: თითო მოგება 100,000 მან. ოქროთი, თითო მოგება 50,000 მან. ოქროთი, ორ-ორი მოგება 25,000 მან. ოქრ., 5—10,000 მან. ოქ., 10—5,000 ოქრ., 50—1,000 მან. ოქრ., 100—500 მან. ოქრ., 1000—100 მან. ოქრ., 2,000—50 მან. ოქრ., 10,000—20 მან. ოქრ., 1927 წლიდან 1928 წ. 1932 წლამდე ხუთას-ხუთასი (500) მოგება 20 მანეთი ოქროთი.
ობლიგაციები გამოშვებულია 5 და 25 მან. ოქროთი. 25 მანეთიან ობლიგაციას აქვს ხუთი ხოტირი, თითეულ ამ ხუთ ნაწილთაგანს შეუძლია მოიგოს (ცალკე):
ობლიგაციები მიიღება სახელმწიფო იჯარების და მიწერების გირაოთ და საქმეებში და სახელმწიფო გადასახადების უზრუნველსაყოფად ჯამის განსაზღვრით! მომგებიანი სესხის ობლიგაციებზე საკრედიტო დაწესებულებანი იძლევა სესხს, გირაო—სესხის ოპერაციები განთავისუფლებულია საგერბო გადასახადისაგან.
ოქროს სესხი აძლევს ხალხს ყველას უზრუნველყოფს შეძენილი ქონების ფასის დაკარგვისაგან. აძლევს საშუალებას ყველას მიიღოს შეძენილი ხელფასის 6 პროცენტი წლიურად ოქროს კურსით. აძლევს საშუალებას ყველას დაიბრუნოს თავისი შეძენილი ქონება ოქროს კურსით ობლიგაციების გაყიდვის დღეს როდესაც უნდა.
სესხის ობლიგაციები იყიდება ამიერ-კავკასიის ყველა საკრედიტო დაწესებულებაში, აგრეთვე ფინანსთა განყოფილებებში, ხაზინებში, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებში, საკოოპერატიო ორგანიზაციებში და სხვა ადგილებში.
298 2—2